ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების[1] შესახებ

სსიპ - ქალაქ თბილისის N118 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები **თავმჯდომარე: ლიანა კობესაშვილი** **წევრ(ებ)ი: თინა ბულიაშვილი**

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი ველი):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

[1] **შენიშვნა:** ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა ველი არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐**არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ქალაქ თბილისის №118 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	209472649

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თბილისი.

ფაქტობრივი მისამართი	**თბილისი, ლიბანის ქუჩა N22**
საფოსტო ინდექსი	**0178**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	bit.ly/4heFPuD
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	**Tbilisi118@mes.gov.ge**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	**2620799**

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 15/09/2025 წლის ბრძანება MES 6 25 0001141197
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	09,10 ოქტომბერი, 2025 წელი

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ – ქალაქ თბილისის N118 საჯარო სკოლას (ს/კ: 209472649) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი მიენიჭა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე (MES 5 23 0001179241, 18.09.2023). ამასთან, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმით (MES 3 23 0001179050), საბჭომ შუამდგომლობით მიმართა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს სკოლაში მონიტორინგის განხორციელების თაობაზე. მონიტორინგის დაწყების პერიოდი განისაზღვრა 2025 წლის სექტემბრიდან, ხოლო მონიტორინგის განხორციელების ფორმად დადგინდა ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტი.

ექსპერტთა ჯგუფის გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი სკოლაში განხორციელდა 2025 წლის 09 და 10 ოქტომბერს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 15/09/2025 წლის MES 6 25 0001141197 ბრძანების საფუძველზე. გეგმიური მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში, ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანების შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული „ა)“, „გ)“ და „დ)“ სტანდარტების შესაბამისობის შეფასება. ექსპერტთა ვიზიტი წარიმართა დღის წესრიგის შესაბამისად. ჩატარდა ინტერვიუირება სკოლის ადმინისტრაციასთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და მასწავლებლებთან. ინტერვიუირებამ საშუალება მოგვცა მოგვეპოვებინა საჭირო ინფორმაცია ავტორიზაციის სტანდარტებთან დაკავშირებით. ვიზიტის ორივე დღემ ჩაიარა მშვიდ, საქმიან და კეთილგანწყობილ გარემოში. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტების ფარგლებში სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა, შეაფასა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი. დასასრულს ექსპერტებმა სკოლის წარმომადგენლებს გაუზიარეს ის მიგნებები, რომლებიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა. ვიზიტის ფარგლებში გამოვლენილი მიგნებები, რჩევები და ხარვეზები დეტალურადაა აღწერილი დასკვნაში.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
1600	**1381**

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სსიპ - ქალაქ თბილისის №118 საჯარო სკოლამ 2025 წლის, 7 ნოემბრის MES 9 25 0001565541 კორესპონდენციით წარმოადგნა არგუმენტირებული პოზიცია, რომელიც ეხება დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს და სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა ხარვეზებთან დაკავშირებთ. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ კორესპონდენციაში ასევე განმარტებულია, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა რჩევების ნაწილიც.

ხარვეზებთან მიმართებით:

ინდიკატორი N.1.1.1.3.

სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის ფარგლებში განსაზღვრა ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წარმომადგენელთა ჩართულობას სკოლის ღირებულებების რევიზიასა და განახლებაში. 2025 წლის 4 ნოემბრის N2-253 ბრძანებით ჩამოყალიბდა წარმომადგენლობითი სამუშაო ჯგუფი (მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი), რომლის ვალდებულებაა სკოლის ფილოსოფიის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების პროექტის მომზადება 6 დეკემბრამდე.მუშავებული პროექტი წარდგენილ იქნება დირექტორთან, გაზიარდება სასკოლო საზოგადოებასთან უკუკავშირის მისაღებად, განიხილება სამეურვეო საბჭოში და დამტკიცდება პედაგოგიური საბჭოზე. ცვლილებები აისახება სასკოლო სასწავლო გეგმაში და გასაჯაროვდება სკოლის ვებგვერდზე, სოციალურ ქსელებსა და საინფორმაციო სტენდზე. პროცედურის შესრულების ვადად განსაზღვრულია პერიოდი 4 ნოემბრიდან 15 დეკემბრამდე. მტკიცებულებად წარმოდგენილია 2025 წლის 4 ნოემბრის N2-253 ბრძანება.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია, რის საფუძველზეც ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „ მეტწილად დაკმაყოფილებულია“.

ინდიკატორი N1.1.1.4. სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერა აქტივობები სკოლის ფილოსოფიის რევიზირებასთან დაკაშირებით, აღნიშნულ აქტივობებს შორის არის ფილოსოფიის სასკოლო საზოგადოებასთან გაზიარება უკუკავშირის მისაღებად. აღნიშნული პროცესისთის სკოლამ განსაზღვრა პერიოდი მიმდინარე წლის 4 ნოემბრიდან 15 დეკემბრამდე.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია, რის საფუძველზეც ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „მეტწილად დაკმაყოფილებულია“.

ინდიკატორი N1.2.1.3. ინდიკატორში დაფიქსირებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის ფარგლებში, სკოლამ აიღო ვალდებულება მოახდინოს სტრატეგიული და ერთწლიანი გეგმების რევიზირება. აღნიშნული პროცესის ორგანიზების მიზნით, სკოლამ 2025 წლის 5 ნოემბრის N2-255 ბრძანებით შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც დაევალა რევიზირების პროცესის დაგეგმვა და წარმართვა, მიღებული შედეგების წარდგენა დირექტორისა და პედაგოგიური საბჭოსთვის განსახილველად,

სასკოლო საზოგადოებისათვის გაზიარება უკუკავშირის მისაღებად, ასევე სამეურვეო საბჭოზე წარდგენა/დამტკიცება და საბოლოო შედეგების გასაჯაროების უზრუნველყოფა. რევიზირების პროცესისთვის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულია 2025 წლის 3 ნოემბრიდან 26 დეკემბრამდე პერიოდი.
ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია, რის საფუძველზეც ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „მეტწილად დაკმაყოფილებულია“

ინდიკატორი N1.2.1.4.ინდიკატორში დაფიქსირებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის ფარგლებში, სკოლამ აიღო ვალდებულება მოახდინოს სტრატეგიული და ერთწლიანი გეგმების რევიზირება. აღნიშნული პროცესის ორგანიზების მიზნით, სკოლამ 2025 წლის 5 ნოემბრის N2-255 ბრძანებით შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც დაევალა რევიზირების პროცესის დაგეგმვა და წარმართვა .
ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია, რის საფუძველზეც ინდიკატორის შეფასება არ არის დაკმაყოფილებული შეცვალა შეფასებით მეტწილად დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი N1.2.2.2. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის ფარგლებში, სკოლამ წარმოადინა შემუშავებული კითხვარები. წარმოდგენილი კითხვარებით მოსწავლეებს, მშობლებს, მასწავლებლებს და სკოლის ადმინისტრაციას საშუალება ეძლევათ შეაფასონ სკოლაში სასწავლო პროცესის ხარისხი, უსაფრთხოება, რაც სტრატეგიული მიზნების, ამოცანებისა და ერთწლიან სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული აქტივობების შეფასებას მიემართება. თვითონ კითხვარებით სასკოლო საზოგადოების დამოკიდებულებისა და შეხედულებების კვლევა კი უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში, რაც ასევე წარმოადგენს სკოლის ამოცანას. აღნიშნული პროცესისათვის სკოლამ განსაზღვრა პერიოდი 2025 წლის 15 ოქტომბრიდან 2026 წლის 30 ივნისამდე.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია, რის საფუძველზეც ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „მეტწილად დაკმაყოფილებულია“

ინდიკატორი N1.2.2.4. ინდიკატორში დაფიქსირებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის ფარგლებში, სკოლამ აიღო ვალდებულება შექმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, პასუხისმგებელი პირების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების განხილვასა და შესაბამისი ანალიზის დამუშავებას. მიღებული ანგარიშისა და ანალიზის შედეგების გამოყენებას ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში.აღნიშნული პროცედურის განხორციელებისთვის, სკოლას განსაზღვრული აქვს პერიოდი 2026 წლის 1 ივნისიდან 30ივნისამდე.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია, რის საფუძველზეც ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „მეტწილად დაკმაყოფილებულია“.

ინდიკატორი 3.1.2.1. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციას დაურთო 2025 წლის 6 ნოემბრის №2-259 ბრძანებით დამტკიცებული „სკოლაში ვაკანტურ ადგილზე თანამშრომელთა შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესი“, რომელშიც საკონკურსო კომისიის დაკომპლექტების საკითხი სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

ექსპერტთა ჯგუფმა, გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია, რის საფუძველზეც ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „დაკმაყოფილებულია“

ინდიკატორი 3.1.2.3. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციას დაურთო 2025 წლის 6 ნოემბრის №2-259 ბრძანებით დამტკიცებული „სკოლაში ვაკანტურ ადგილზე თანამშრომელთა შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესი“, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში ნებისმიერი თანამშრომლის დასაქმების წესს და პროცედურებს.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია, წარმოდგენილი მტკიცებულება, და ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „დაკმაყოფილებულია“.

ინდიკატორი N3.1.2.4. .ინდიკატორში დაფიქსირებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის ფარგლებში სკოლამ განათავსა განცხადებები დასაქმების პლათფორმაზე teacherjobs.ge. მტკიცებულებად არგუმენტირებულ პოზიციას სკოლამ დაურთო 2025 წლის 7 ნოემბრის ბრძანება N2-264, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის, მე და საზოგადოების, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის ვაკანტური ადგილების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ და 2025 წლის 4 ნოემბრის ბრძანება N2-262, ექიმის შტატზე ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გამოცადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ. შესაბამისი სტატუსისა და კვალიფიკაციის მასწავლებლებისა და ექიმების შერჩევის ვადად სკოლამ განსაზღვრა პერიოდი 2025 წლის 4 ნოემბრიდან 2025 წლის 10 დეკემბრამდე.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია, რის საფუძველზეც ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „მეტწილად დაკმაყოფილებულია“

ინდიკატორი N3.2.1.1.ინდიკატორში დაფიქსირებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, არგუმენტირებულ პოზიციას სკოლამ დაურთო სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 5 ნოემბრის სხდომის ოქმი N9 ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის

დამტკიცების თაობაზე, მასწავლებელის და სკოლაში დასაქმებული სხვა პირის შეფასების ფორმები, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დაკომპლექტების ბრძანება N2-265. შეიმუშავა თანამშრომელთა და მასწავლებელთა კითხვარები და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრა რომ თანამშრომელთა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების გეგმის შედგენას უზრუნველყოფს 2025 წლის 7 ნოემბრიდან 2026 წლის 30 მარტამდე პერიოდში.
ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „მეტწილად დაკმაყოფილებულია“

ინდიკატორი N3.2.1.2.ინდიკატორში დაფიქსირებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, არგუმენტირებულ პოზიციას სკოლამ დაურთო სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 5 ნოემბრის სხდომის ოქმი N9 ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების თაობაზე, მასწავლებელის და სკოლაში დასაქმებული სხვა პირის შეფასების ფორმები, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დაკომპლექტების ბრძანება N2-265. შეიმუშავა თანამშრომელთა და მასწავლებელთა კითხვარები და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრა რომ თანამშრომელთა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების გეგმის შედგენას უზრუნველყოფს 2025 წლის 7 ნოემბრიდან 2026 წლის 30 მარტამდე პერიოდში.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „მეტწილად დაკმაყოფილებულია“
ინდიკატორიN3.3.1.1. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში სკოლამ როგორც ძირითად, ასევე დამხმარე და ადმინისტრაციულ პროცესებთან მიმართებით დემინგის ციკლის, როგორც სისტემური მართვის მოდელის ორგანიზაციულ დონეზე განმტკიცებისათვის, განსაზღვრა პერიოდი 2025 წლის 10 ნოემბრიდან 2026 წლის 30 ივნისამდე. წარმოადგინა განსახორციელებელი აქტივობების ნუსხა და აიღო მონიტორინგის ჯგუფის შექმნის ვალდებულება.
ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია, რის საფუძველზეც ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „მეტწილად დაკმაყოფილებულია“

ინდიკატორი N3.4.1.1. არგუმენტირებულ პოზიციას სკოლამ დაურთო ფოტო მასალა, რომელზეც ჩანს, რომ უზრუნველყო ღიად დატოვებული ელექტროსადენების მოწესრიგება. რაც შეეხება სკოლის ეზოს შემოღობვას სკოლამ შესაბამისობის უზრუნელყოფის გეგმით აიღო ვალდებულება, რომ სკოლის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოების დასრულების შემდგომ 2025 წლის 24 სექტემბრიდან-2026 წლის 30 სექტემბრამდე მოხდება სკოლის ეზოს სრულად შემოღობვა.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია, რის საფუველზეც ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „მეტწილად დაკმაყოფილებულია“

ინდიკატორი N3.4.1.2. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციას დაურთო ფოტო მასალა, რომელიც ადასტურებს, რომ სკოლის ექიმმა დაიწყო დახარჯული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების აღრიცხვა და სკოლაში გაწეული სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმების წარმოება. ასევე სამედიცინო ოთახში განთავსდა კომპიუტერი და მოეწყო გამყოფი ბარიერი.
ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია, რის საფუძველზეც ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „დაკმაყოფილებულია“

ინდიკატორი N3.4.1.6. არგუმენტირებულ პოზიციას სკოლამ დაურთო პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე მოსწავლეთა და თანამშრომელთა წერილობითი თანხმობის ფორმები და აღნიშნული ხარვეზის აღმოფხრის, პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე წერილობით თანხმობის მოპოვების ვადად განსაზღვრა პერიოდი 2025 წლის 20 ოქტომბრიდან 30 ნოემბრამდე.
ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული ვადა ჩაითვალა რელევანტურად, გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „მეტწილად დაკმაყოფილებულია“

ინდკატორი N3.5.1.4. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით სკოლამ აიღო ვალდებულება, რომ უზრუნველყოფს წერილის გაგზავნას შესაბამის უწყებებში და უზრუნვველყოფს შენობის ადაპტირებას შშმ პირებისათვის. ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვვრა პერიოდი 2025 წლის 29 სექტემბრიდან 2026 წლის 29 სექტემბრამდე.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია, რის საფუძველზეც ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „მეტწილად დაკმაყოფილებულია“.

ინდიკატორი N3.6.3.5. სკოლამ ვებგვერდზე განათავსა სტანდარტით მოთხოვნილი ყველა სავალდებულო ინფორმაცია. რის საფუძველზეც ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეიცვალა შეფასებით „დაკმაყოფილებულია“

ინდიკატორი N4.1.1.1. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში დაწესებულებამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 2025 წლის 6 ნოემბრიდან 30 ნოემბრამდე პერიოდი, რომელიც ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა რელევანტურად. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა ისგ ჯგუფის შექმნისა და საქმიანობის დამადასტურებელი ბრძანებები, ასევე ისგ ჯგუფის მიერ

შედგენილი ოქმები აღნიშნულ ორ მოსწავლესთან დაკავშირებით და იმ პასუხისმგებელი პირის მიმართ გამოცემული დისციპლინური პასუხისმგებლობის ბრძანება, რომელსაც ევალება სკოლაში მოსწავლეთა ბაზებთან მუშაობა.
ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორი შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „მეტწილად დაკმაყოფილებულია“.

ინდიკატორი 4.1.2.1. არგუმენტირებულ პოზიციას სკოლამ დაურთო 2025 წლის 5 ნოემბრის №2-257 ბრძანებით დამტკიცებული მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, კლასიდან კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების და/ან შეწყვეტის, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის წესი. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „დაკმაყოფილებულია“.

ინდიკატორი 4.2.2.3. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის ფარგლებში სკოლამ წარმოადგინა შემუშავებული კითხვარები მოსწავლეებისთვის და მშობლებისათვის, სადაც ბოლო კითხვა შესაძლებლობას აძლევს მათ დაფიქსირონ ნებისმიერი მოსაზრება, რაც ხელს უწყობს მომსახურების ხარისხის მართვის პროცესის სრულყოფასა და მიზნობრივ გამოყენებას. აღნიშნული კითხვარებით გამოკითხვის პროცედურისთვის სკოლას განსაზღვრული აქვს პერიოდი 2025 წლის 20 ოქტომბრიდან 2026 წლის 30 თებერვლამდე.
ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „მეტწილად დაკმაყოფილებულია“.

ინდიკატორი 4.2.3.1. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში დაწესებულებამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 2025 წლის 6 ნოემბრიდან 30 ნოემბრამდე პერიოდი, რომელიც ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა რელევანტურად. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა ისგ ჯგუფის შექმნისა და საქმიანობის დამადასტურებელი ბრძანებები, ასევე ისგ ჯგუფის მიერ შედგენილი ოქმები აღნიშნულ ორ მოსწავლესთან დაკავშირებით
ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია აღნიშნული ფაქტის 2025 წლის 30 ნოემბრამდე აღმოფხვრის შესახებ ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფლებული“ შეცალა შეფასებით „მეტწილად დაკმაყოფილებულია“.

ინდიკატორი 4.2.4.1. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა 2025 წლის 21 ოქტომბრით დათარიღებული სკოლის ექიმის მიერ სასკოლო კვების ობიექტის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების აქტი, ასევე კვების ობიექტის საქმიანობის მონიტორინგის მიზნით მონიტორინგის ჯგუფის შექმნის ბრძანება №2-242 (2025 წლის 20 ოქტომბერი).

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია ინდიკატორში დაფიქსირებული ხარვეზის 2025 წლის 7 ნოემბრიდან 30 ნოემბრამდე აღმოფხვრის შესახებ და ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „მეტწილად დაკმაყოფილებულია“

რჩევებთან მიმართებით

ინდიკატორი N3.2.1.4.გაცემული იქნა რჩევა „სასურველია სკოლამ ახალი თანამშრომლის ინტეგრაციის სისტემურობის უზრუნველსაყოფად პრაქტიკაში გამოყენებული პროცესები დაარეგულიროს დოკუმენტური რეგულაციითაც“. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციას თან დაურთო 2025 წლის 4 ნოემბრის ბრძანება N2-254 სკოლის თანამშრომლის ადაპტაციის წესი, რომლითაც განსაზღრა ადაპტაციის წესის მიზნები, ადაპტაციის ეტაპები, ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმები.

ინდიკატორი N 3.4.1.2. გაცემული იქნა რჩევა “ სასურველია ექიმმა გაზარდოს კვების ობიექტის შემოწმებების სიხშირე და უზრუნველყოს პროცესის უწყვეტობა“ . სკოლამ წაროადგინა ექიმის მიერ კვვების ობიექტის შემოწმების აქტები.

ინდიკატორი N3.4.1.7. გაცემული იქნა რჩევა “ სასურველია, სკოლამ უზრუნველყოს პირადი საქმეების კარადის დაცვა საკეტით“. სკოლამ წარმოადგინა ფოტო მასალა რომლითაც დაადასტურა აღნიშნული რჩევის გათვალისწინების ფაქტი.

ინდკატორი N3.4.1.8. გაცემული იქნა რჩევა „სასურველია, სკოლამ უსაფრთხოების მექანიზმების პერიოდული შეფასებისთვის შეიმუშაოს კონკრეტული მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები (მაგალითად, შეფასების ჩეკლისტი, კითხვარები)“ . სკოლამ წარმოადგინა კითხვარები, რომელიც იძლევა საშუალებას სასკოლო საზოგადოების მხრიდან შეფასდეს სკოლაში მოქმედი უსაფრთხოების მექანიზმები.

ინდიკატორიN3.5.1.3. გაცემული იქნა რჩევა „სასურველია, სკოლამ უზრუნველყოს ბიბლიოთეკის პრინტერითა და კომპიუტერით“. სკოლამ წარმოადგინა ფოტო მასალა რომლითაც დაადასტურა რჩევის გათვალისწინების ფაქტი.

ინდიკატორი N3.6.3.3. გაცემული იქნა რჩევა „სასურველია სკოლამ საზოგადოებრივი აზრის გაზიარების მიზნით ჩაატაროს სხვადასხვა სახის კვლევა, სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა და შედეგები გამოიყენოს სკოლის განვითარებისთვის“. სკოლამ წარმოადგინა კითხვარები, რომელიც იძლევა საშუალებას შესწავლილი იქნას სასკოლო საზოგადოების აზრი.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ **შეესაბამება** **|||| მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ შეესაბამება |||| მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება |||| მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** **■ მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☐ **შეესაბამება** ■ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[2]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N.1.1.1.3.	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით	შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (04.11.2025-15.12.2025წ) უზრუნველყოს სკოლის ფილოსოფიის რევიზირება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით და საკუთარი რეგულაციების დაცვით
ინდიკატორი N.1.1.1.4.	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ	შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (04.11.2025-15.12.2025წ) უზრუნველყოს რევვიზირებული სკოლის ფილოსოფიის გაზიარებასასკოლო საზოგადოებასთან

[2] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

ინდიკატორი N1.2.1.3.	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას	შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (03.11.2025-26.12.2025წ) საკუთარი რეგულაციების დაცვით უზრუნველყოს სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების რევიზია, სამოქმედო გეგმაში გაითვალისწინოს თვითშეფასების შედეგები, სამოქმედო გეგმა დააფუძნოს სტრატეგიულ გეგმას
ინდიკატორი N1.2.1.4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (03.11.2025-26.12.15.2025წ) უზრუნველყოს სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების რევიზია, სამოქმედო გეგმაში გაითვალისწინოს სტრატეგიული გეგმის მიზნები და ამოცანები, ამოცანების შესაბამისი აქტივობები
ინდიკატორი N1.2.2.2.	მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით	შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (15.10.2025-30.6.2026წ) საკუთარი მეთოდოლოგიის შესაბამისად განახორციელოს სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება, ერთწლიანი გეგმის შეფასების პროცესში გაითვალისწინოს სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი
ინდიკატორი	სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების	შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში(01.06.2026-06.30.2026წ) უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის

N1.2.2.4.	შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის	შესრულების გაანალიზება/შეფასება და შედეგები გამოიყენოს სკოლის შემდგომი განვითარებისათის.
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.1.2.4	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს	შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (04.11.2025-10.12.2025წ) უზრუნველყოს კვალიფიცირებული მასწავლებლებისა და ექიმების დასაქმება
ინდიკატორი N3.2.1.1.	სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები	შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (7.11.2025-30.03.2026წ) ადამიანური რესურსების განვითარების პოლიტიკის შესაბამისად და შემუშავებული კითხვარების გამოყენებით უზრუნველყოს დააქმებულთა პროფესიული საჭიროებების დადგენა
ინდიკატორი N3.2.1.2.	პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად	შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (7.11.2025-30.03.2026წ) უზრუნველყოს პერსონალის გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე მათი განითარების გეგმის შემუშავება/განხორციელება
ინდიკატორი N3.3.1.1.	სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს	შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დანსაზღვრულ ვადაში (10.11.2025-30.06.2026 წ) უზრუნველყოს დემინგის ციკლის - როგორცსისტემური მართის მოდელის სრული მასშტაბით გამოყენება სკოლაში მიმდინარე ყველა პროცესთან მიმართებით

ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (24.09.2025-30.09.2026წ) უზრუნველყოს ეზოს შემოღობვა.
ინდიკატორი N3.4.1.6	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას	შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (20.10.2025-30.11.2025წ) უზრუნველყოს პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე წერილობითი თანხმობის მოპოვება მოსწავლეების მშობლების/კანონიერი წარმომადგენლებისა და დასაქმებულებისგან

ინდიკატორი **N3.5.1.4.**	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (24.09.2025-24.09.2026წ) უზრუნველყოს სკოლის შენობის ადაპტირება შშმ პირებისათვის
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N4.1.1.1.	სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა	შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (06.11.2025-30.11.2025წ) უზრუნველყოს ახლად იდენტიფიცირებული სსსმ მოსწავლეებისათვის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა
ინდიკატორი **N4.2.2.3.**	სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს	შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში სკოლამ უზრუნველყოს გამოკითხვა, კითხვარების ანალიზი და შედეგები გამოიყენოს დაგეგმვის პროცესში
ინდიკატორი N4.2.3.1.	სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი	შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (06.11.2025-30.11.2025 წ) ყველა მოსწავლისათვის უზრუნველყოს სსსმ მოსწვლესთან მუშაობის მექანიზმის პრაქტიკული გამოყენება
ინდიკატორი N4.2.4.1.	**სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი**	შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (07.11.2025-30.11.2025წ) უზრუნველყოს კვების ობიექტის სისტემური შეფასების მექანიზმების ამოქმედება და კვების ობიექტის მუდმიივი მონიტორინგი.

	მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N1.2.1.1	სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს	სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის უწყვეტობის უზრუნველსაყოფად, სასურველია სკოლამ ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით სტრატეგიული გეგმის შეფასების პროცესის დაწყება განსაზღვროს სტრატეგიული გეგმის ვადის ამოწურამდე გონივრული ვადით ადრე.
ინდიკატორი N1.2.2.1	სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს	სასურველია სტრატეგიული გეგმის ანგარიშის განხორციელება დაიწყოს სტრატეგიული გეგმის ვადის ამოწურვამდე გონივრული პერიოდით ადრე
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	**რჩევა**
ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც	სასურველია: ა.სკოლამ გაითვალისწინოს ექსპერტის მიერ გაცემული რჩევები

	არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	შენობის ექსპლოატაციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით (დეტალურად იხ. ინდიკატორის აღწერაში) ბ.უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის დანიშვნა .
ინდიკატორი N3.4.1.6	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემების დაცვვას	სასურველია, სკოლამ უზრუნველყოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის აყვანა
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**რჩევა**
ინდიკატორი N4.2.1.4.	სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას	სასურველია უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების პროცესის წარმოების დროს სკოლამ ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის ბრძანებით განსაზღვროს ჯგუფი, რომელიც შეისწავლის მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და დაადგენს მოსწავლის მიერ

	კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით	უცხოეთში მიღებული განათლების შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სავალდებულო საგნებთან.
ინდიკატორი N4.2.1.6.	მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას	სასურველია სკოლამ საკუთარი რეგულაცია „საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი“ აქტიურად გამოიყენოს პრაქტიკაში და უზრუნველყოს მიღებული უკუკავშირის სისტემატური ანალიზი და რეაგირება.
ინდიკატორი N4.2.2.2.	სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით	სასურველია სკოლამ მოახდინოს არსებული პრაქტიკის ფორმალიზება და მოსწავლეთა კარიერულ განვითარებასთან დაკავშრებული საკითხების მართვა გაწეროს კონკრეტულ მექანიზმებად

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე*

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რეკომენდაცია	**შესრულების სტატუსი**
ინდიკატორი N 1.1.1.5	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი	სკოლას მიეცა რეკომენდაცია გაიწეროს ღირებულებები, დაადასტუროს ხედვის დოკუმენტის საჯაროობა. (20.08.2023 – 01.09.2023)	**შესრულებულია.** სკოლის ფილოსოფია განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე

ინდიკატორი N1.2.1.1.	სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შეიმუშავოს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების მეთოდოლოგია.(20.08.2023 – 01.09.2023)	**შესრულებულია** სკოლამ შეიმუშავა სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების მეთოდოლოგია. ბრძანება N2-231. 31.08.2023
ინდიკატორი N1.2.1.2.	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს	სკოლას მიეცა რეკომენდაცია სტრატეგიული (7 წლიანი) განვითარების გეგმაში იყოს ციკლურობა, დოკუმენტი გაიწეროს დროში, განისაზღვროს შესრულებაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ი. (01.09.2023 – 08.09.2023)	**შესრულებულია** სკოლის სტრატეგიულ გეგმა გაწერილია დროში, განსაზვრულია შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები სტრატეგიული გეგმის ციკლურობა დგინდება სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების მეთოდოლოგიით.
ინდიკატორი N1.2.1.3	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას	სკოლას მიეცა რეკომენდაცია სამოქმედო ერთწლიანი გეგმა შეიქმნას სტრატეგიული განვითარების გეგმის საფუძველზე. (20.08.2023 – 15.09.2023)	**შესრულებულია ნაწილობრივ** სკოლას აქვს სამოქმედო გეგმა, ის ერთწლიანია. სამოქმედო გეგმაში

			განსაზღვრული სტრატეგიული მიზნები არ არის სრულად თანხვედრაში სრატეგიულ განვითარების გეგმით განსაზღრულ სტრატეგიულ მიზნებთან.
ინდიკატორი 1.2.1.4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	სკოლას მიეცა რეკომენდაცია სამოქმედო გეგმაში განსაზღვროს სტრატეგიული გეგმის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები. (08.09.2023-15.09.2023)	**არ არის შესრულებული.** სტრატეგიულ მიზნებს, ამოცანებსა და აქტივობებს შორის, რომელიც გაწერილია როგორც სტრატეგიულ, ისე სამოქმედო გეგმაში, დარღვეულია შინაარსობრივი და რაოდენობრივი კაშირი. (დეტალურად იხ. 1.2.1.4 ინდიკატორის აღწერა).
ინდიკატორი 1.2.2.1.	სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შეიმუშავოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მეთოდოლოგია. (20.08.2023 – 1.09.2023)	**შესრულებულია.** სკოლამ შეიმუშავა სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების

			მეთოდოლოგია. ბრძანება N2-231. 31.08.2023
ინდიკატორი 1.2.2.2.	მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შეიმუშავოს სტრატეგიული განვითარების, სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმი, შექმნას მეთოდოლოგიის შესაბამისი შესრულების მონიტორინგი და შეფასება. (20.08.2023 - 01.09.2023)	**შესრულებულია.** სკოლამ შეიმუშავა სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების მეთოდოლოგია (ბრძანება N2-231, 31.08.2023),
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	**რეკომენდაცია**	**შესრულების სტატუსი**
ინდიკატორი 3.1.2.3.	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით	სკოლას მიეცა რეკომენდაცია სკოლის თანამშრომლების პირად საქმეში არსებული დოკუმენტების ნუსხა მოიყვანოს შესაბამისობაში არსებულ კანონმდებლობასთან და სკოლის შინაგანაწესის მოთხოვნასთან. (01.09.2023-25.12.2023)	შესრულებულია
ინდიკატორი 3.3.1.1.	სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შეიმუშავოს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი. (15.09.2023-29.11.2023)	**შესრულებულია** სკოლამ შეიმუშავა ხარისხის უზრუნელყოფის პოლიტიკის დოკუმენტი ბრძანება N2-324

			(24.11.2023წ)
ინდიკატორი 3.3.1.2.	იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები	სკოლას მიეცა რეკომენდაცია მოახდინოს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი და დამხმარე პროცესების იდენტიფიცირება და აღწერა. (01.10.2023 – 29.12.2023)	**შესრულებულია** სკოლას ხარისხის უზრუნელყოფის პოლიტიკის დოკუმენტში ბრძანება N2-324 (24.11.2023წ) აღწერილი აქვს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი და დამხმარე პროცესები
ინდიკატორი 3.3.2.1.	სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შეუიმუშავოს საზოგადოების უკუკავშირზე რეაგირების მექანიზმი. (15.10.2023 – 29.12.2023)	**შესრულებულია** სკოლამ შეიმუშავა საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი ბრძანება N2-222 (23.09.2025 წ)
ინდიკატორი 3.5.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის	სკოლას მიეცა რეკომენდაცია მოიპოვოს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. (14.06.2023 – 1.06.2024)	**შესრულებულია** სკოლამ მოიპოვა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.

	გათვალისწინებით		
ინდიკატორი 3.5.1.3.	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შექმნას სწავლის ინკლუზიური გარემო. (28.07.2023 – 01.07.2024)	**არ არის შესრულებული.** სკოლამ წარმოადგინა რიგი ოფიციალური მიმართვები შესაბამის უწყებებში, რომლებიც ადასტურებს მის აქტიურ კომუნიკაციას პრობლემის მოსაგვარებლად. (დეტალურად იხ. ინდიკატორის აღწერაში)
ინდიკატორი 3.5.1.5.	სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა). ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული	სკოლას მიეცა რეკომენდაცია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის განსაზღვროს სივრცე, სადაც შესაძლებელი იქნება შესაბამისი ცდების ჩატარება. (01.09.2023 – 29.12.2023)	**შესრულებულია.** სკოლას შეძენილი აქვს გამწოვი კარადა. კლას - კაბინეტში, სადაც განთავსებულია ქიმიის ლაბორატორია გამოყოფილა სივრცე შესაბამისი ცდების ჩასატარებლად.

	ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.		
კატორი 3.6.2.1.	სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შეიმუშავოს საქმისწარმოების ერთიანი წესი. (15.08.2023 – 01.09.2023)	**შესრულებულია**
ინდიკატორი 3.6.3.1.	სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შექმნას ვებ-გვერდი. (06.06.2023 – 01.11.2023)	**შესრულებულია**
ინდიკატორი 3.7.1.1.	სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება	სკოლას მიეცა რეკომენდაცია მოხდეს ახალ სამოქმედო გეგმაში გაწერილი კონკრეტული აქტივობების სკოლის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტთან თანხვედრის უზრუნველყოფა. (20.08.2023 – 15.09.2023)	**შესრულებულია**

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლას საკუთარ მისიასა და ხედვაში გაცხადებული აქვს, რომ ორიენტირებულია უზრუნველყოს ისეთი პიროვნების აღზრდა, რომელიც იქნება დემოკრატიული ღირებულებების მატარებელი, კანონმორჩილი და პასუხისმგებლიანი მოქალაქე, აღჭურვილი კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების უნარებით და რომელსაც ექნება მზაობა დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები და გაუმკლავდეს თანამედროვე საზოგადოების გამოწვევებს. აღნიშნული მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, რომელიც გულისხმობს მოსწავლეებში მოქალაქეობრივი თვითშეგნების, დემოკრატიული ღირებულებების, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას, ასევე პასუხისმგებლიანი და თანასწორი გარემოს უზრუნველყოფას თითოეული მათგანისათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლის მისია ხაზს უსვამს სახელმწიფოებრივად მოაზროვნე, კრიტიკული და შემოქმედებითი უნარებით აღჭურვილი პიროვნების ჩამოყალიბებას. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობაზე, კანონმორჩილებასა და ტოლერანტობაზე, რაც უკავშირდება მოსწავლის პიროვნულ განვითარებასა და სოციალურ პასუხისმგებლობას. ამით სკოლა საკუთარ როლს ხედავს არა მხოლოდ ცოდნის მიმცემად, არამედ მოქალაქეობრივი და ეთიკური ღირებულებების განმავითარებელ ინსტიტუციად. რაც შეეხება ხედვას, ის წარმოაჩენს სკოლას, როგორც უსაფრთხო, მრავალფეროვან და ტექნოლოგიურად განვითარებულ სივრცეს, რომელიც ითვალისწინებს ინდივიდუალურ განსხვავებებსა და შესაძლებლობებს. ხედვაში იკითხება ორიენტირება მოსწავლის კეთილდღეობასა და უნარებზე მორგებული გარემოს შექმნაზე, რაც უსაფრთხოებისა და ინკლუზიურობის პრინციპებზე მიგვანიშნებს. თემისა და სასკოლო საზოგადოების ჩართულობა კი აყალიბებს სკოლას სოციო-კულტურულ ცენტრად, სადაც სწავლა და აღზრდა საზოგადოებრივ თანამშრომლობასა და ურთიერთპატივისცემაზეა დაფუძნებული. ამრიგად, სკოლა თავისი მისიითა და ხედვით ორიენტირებულია უსაფრთხო და მრავალფეროვანი, თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სასკოლო გარემოს ფორმირებაზე და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს

ინდკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

წინა ვიზიტის ფარგლებში სკოლამ წარადგინა მისია და ხედვა, რომელიც შემუშავებული იყო სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, თუმცა ვერ წარადგინა ღირებულებები და სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია. რეკომენდაციის შესაბამისად სკოლამ შემუშავა როგორც ფილოსოფიისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, ისე ღირებულებები. სკოლის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით, ღირებულებების ფორმირება უნდა განხორციელებულიყო სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. სკოლამ შეიმუშავა ღირებულებები, თუმცა მის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების მონაწილეობის ფაქტი ვერ დაადასტურა, რაც წინააღმდეგობაშია მეთოდოლოგიით და ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ხარვეზი. სკოლამ ვერ დაადასტურა ღირებულებების შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების წარმომადგენელთა ჩართულობა, შესაბამისად ვერ დაადასტურა პროცედურის თანამონაწილეობითი ხასიათი და სკოლის მხრიდან საკუთარი რეგულაციის დაცვის ფაქტი.

სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის ფარგლებში განსაზღვრა ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წარმომადგენელთა ჩართულობას სკოლის ღირებულებების რევიზიასა და განახლებაში. 2025 წლის 4 ნოემბრის N2-253 ბრძანებით ჩამოყალიბდა წარმომადგენლობითი სამუშაო ჯგუფი (მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი), რომლის ვალდებულებაა სკოლის ფილოსოფიის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების პროექტის მომზადება 6 დეკემბრამდე.მუშავებული პროექტი წარდგენილ იქნება დირექტორთან, გაზიარდება სასკოლო საზოგადოებასთან უკუკავშირის მისაღებად, განიხილება სამეურვეო საბჭოში და დამტკიცდება პედაგოგიური საბჭოზე. ცვლილებები აისახება სასკოლო სასწავლო გეგმაში და გასაჯაროვდება სკოლის ვებგვერდზე, სოციალურ ქსელებსა და საინფორმაციო სტენდზე. პროცედურის შესრულების ვადად განსაზღვრულია პერიოდი 4 ნოემბრიდან 15 დეკემბრამდე. მტკიცებულებად წარმოდგენილია 2025 წლის 4 ნოემბრის N2-253 ბრძანება.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია, რის საფუძველზეც ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „ მეტწილად დაკმაყოფილებულია“ .და გასცა რეკომენდაცია სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (04.11.2025-15.12.2025წ) უზრუნველყოს სკოლის ფილოსოფიის რევიზირება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით და საკუთარი რეგულაციების დაცვით

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია

4.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლის მიერ შემუშავებული „ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“ განსაზღვრავს, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებული უნდა იქნას სასკოლო საზოგადოებასთან სხვადასხვა ფორმით: სკოლის ოფიციალური ვებგვერდის, სოციალური ქსელის, ღია შეხვედრების, საჯარო განხილვების, პედაგოგიური საბჭოს სხდომების და სხვა შესაბამისი არხების საშუალებით. წინა ვიზიტის ფარგლებში სკოლას უკვე ჰქონდა განსაზღვრული მისია და ხედვა, რომელიც სკოლის პედაგოგიური კოლექტივის მონაწილეობით იყო შემუშავებული (დადასტურება – 2022 წლის 8 სექტემბრის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N6). წინა ვიზიტის რეკომენდაციის შესაბამისად, სკოლამ შეიმუშავა ღირებულებები. თუმცა, სკოლამ ვერ წარმოადგინა ღირებულებების გაზიარების დამადასტურებელი მტკიცებულება და ვერ დაადასტურა სასკოლო საზოგადოების მხრიდან ღირებულებების გაზიარების პროცესი.

ხარვეზი. სკოლამ ვერ წარმოადგინა მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა ღირებულებების სასკოლო საზოგადოების წევრებთან გაზიარების პროცესს.

ინდიკატორი N1.1.1.4. სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერა აქტივობები სკოლის ფილოსოფიის რევიზირებასთან დაკაშირებით, აღნიშნულ აქტივობებს შორის არის ფილოსოფიის სასკოლო საზოგადოებასთან გაზიარება უკუკავშირის მისაღებად. აღნიშნული პროცესისთვის სკოლამ განსაზღვრა პერიოდი მიმდინარე წლის 4 ნოემბრიდან 15 დეკემბრამდე.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია, რის საფუძველზეც ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „მეტწილად დაკმაყოფილებულია“ და გასცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (04.11.2025-15.12.2025წ) უზრუნველყოს რევიზირებული სკოლის ფილოსოფიის გაზიარება სასკოლო საზოგადოებასთან

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებული.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის ფილოსოფია განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე და შესაბამისად ის ხელმისაწვდომია როგორც სასკოლო საზოგადოებისათვის, ასევე ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს „სკოლა“.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებგერდი;
- 31.08.2023 წლის ბრძანება N2-231 ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N6 (2022 წლის 08 სექტემბერი).

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

\| მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (დამტკიცებული დირექტორის 2023 წლის 31 აგვისტოს N2-231 ბრძანებით, შემუშავებული 29 აგვისტოს N2-228 ბრძანებით განსაზღვრული ჯგუფის მიერ). მეთოდოლოგია განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. დოკუმენტის თანახმად, სტრატეგიული დაგეგმვა წარმოადგენს თანამონაწილეობით პროცესს, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო

საზოგადოების (ადმინისტრაციის, მასწავლებლების, მშობლებისა და მოსწავლეების) ჩართულობას. დაგეგმვა მიმდინარეობს სამუშაო ფორმატში, განსაზღვრული ჯგუფის მონაწილეობით. მეთოდოლოგიის მე-9 მუხლი განსაზღვრავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების ეტაპებს, სადაც გათვალისწინებულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების პროექტის გაზიარება სკოლის საზოგადოების წევრებისთვის, მიღებული უკუკავშირის განხილვა და ინტეგრირება საბოლოო ვერსიაში.
სკოლის მიერ შემუშავებულ მეთოდოლოგიაში ასევე განსაზღვრულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება. სტრატეგიული გეგმის შემთხვევაში 3 წელიწადში და 7 წლის გასვლის შემდეგ.
რჩევა. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის უწყვეტობის უზრუნველსაყოფად, სასურველია სკოლამ ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით სტრატეგიული გეგმის შეფასების პროცესის დაწყება განსაზღვროს სტრატეგიული გეგმის ვადის ამოწურამდე გონივრული ვადით ადრე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლამ წარმოადგინა 2023-2030 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმა. სკოლის სტრატეგიული მიზნებია: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, ადამიანური რესურსის განვითარება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა, მშობელთა ჩართულობა და ორგანიზაციული განვითარება და მასტიმულირებელი ბერკეტები სწავლებისა და აღზრდის საქმეში. თითოეული სტრატეგიული მიზნისთვის გაწერილია ამოცანები, შესაბამისი აქტივობები და შესრულების ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრაუქტურული ერთეულები, შესრულების ინდიკატორები და რესურსები. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის ფილოსოფიას.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი და მოიცავს პერიოდს სექტემბრიდან აგვისტოს ჩათვლით. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით გათვალისწინებულია ერთწლიან გეგმაზე მუშაობისთვის სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება, გეგმის პროექტის გაზიარება სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის, უკუკავშირის შეგროვება და საბოლოო ვერსიის დამტკიცება სამეურვეო საბჭოს მიერ, თუმცა აღნიშნულ პროცესებზე სკოლის მხრიდან წარმოდგენილი არ ყოფილა შესაბამისი დოკუმენტური მტკიცებულებები (მაგალითად: სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება, სხდომის ოქმები, კომუნიკაციის ჩანაწერები,

უკუკავშირის ფორმები და სხვ.). გარდა ამისა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შინაარსობრივი ანალიზი აჩვენებს, რომ სამოქმედო გეგმაში მოცემულ სტრატეგიულ მიზნებსა და სტრატეგიული გეგმის სტრატეგიულ მიზნებს შორის არის შეუსაბამობები, რაც მიუთითებს სტრატეგიული და ოპერატიული დოკუმენტებს შორის არსებულ შეუსაბამობაზე. კერძოდ, ერთწლიან გეგმაში არის სტრატეგიული მიზანი მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება, რომელიც არ არის 7 წლიან სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრული, ასევე ერთწლიან სამოქმედო გეგმაში არის წარმოდგენილი სტრატეგიული მიზანი "სასკოლო საზოგადოების ჩართულობა", ხოლო სტრატეგიულ გეგმაში არის სტრატეგიული მიზანი "მშობელთა ჩართულობა". 7 წლიან სტრატეგიულ გეგმაში არის სტრატეგიული მიზანი „ორგანიზაციული განვითარება და მასტიმულირებელი ბერკეტები სწავლებისა და აღზრდის საქმეში" ერთწლიან გეგმაში არის სტრატეგიული მიზანი „ორგანიზაციული განვითარება". გარდა აღნიშნულისა სტრატეგიული გეგმაში განსაზღვრულია 6 სტრატეგიული მიზანი, მაშინ როცა ერთწლიან გეგმაში მოცემულია 7 სტრატეგიული მიზანი. სკოლამ ასევე ვერ დაადასტურა მიმდინარე სასწავლო წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში სკოლის თვითშფასების შედეგების ან/და წინა წლის ერთწლიანი გეგმის შეფასების შედეგების გათვალისწინების ფაქტი.

ხარვეზი.

ა.სკოლა არ იცავს ერთწლიანი გეგმის შემუშავებისა და განხორციელების საკუთარ რეგულაციებს.

ბ.სკოლის სამოქმედო გეგმა არ ეფუძნება სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას.

გ.სკოლის სტრატეგიულ გეგმასა და ერთწლიან სამოქმედო გეგმაში წარმოდენილ სტრატეგიული მიზნებს შორის ფიქსირდება რაოდენობრივი და შინაარსობრივი შეუსაბამობები.

ინდიკატორში დაფიქსირებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის ფარგლებში, სკოლამ აიღო ვალდებულება მოახდინოს სტრატეგიული და ერთწლიანი გეგმების რევიზირება. აღნიშნული პროცესის ორგანიზების მიზნით, სკოლამ 2025 წლის 5 ნოემბრის N2-255 ბრძანებით შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც დაევალა რევიზირების პროცესის დაგეგმვა და წარმართვა, მიღებული შედეგების წარდგენა დირექტორისა და პედაგოგიური საბჭოსთვის განსახილველად, სასკოლო საზოგადოებისათვის გაზიარება უკუკავშირის მისაღებად, ასევე სამეურვეო საბჭოზე წარდგენა/დამტკიცება და საბოლოო შედეგების გასაჯაროების უზრუნველყოფა. რევიზირების პროცესის განხორციელებისათვის, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულია დროის შუალედი 2025 წლის 3 ნოემბრიდან 26 დეკემბრამდე.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია, რის საფუძველზეც ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული" შეცვალა შეფასებით „მეტწილად დაკმაყოფილებულია" და გასცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (03.11.2025-26.12.2025წ) სკოლამ საკუთარი რეგულაციების დაცვით

უზრუნველყოს სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების რევიზია, სამოქმედო გეგმაში გაითვალისწინოს თვითშეფასების შედეგები, სამოქმედო გეგმა დააფუძნოს სტრატეგიულ გეგმას

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა სტრუქტურულად გამართულია, მასში წარმოდგენილია სტრატეგიული მიზნები, ამოცანები, აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, ვადები, ასევე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რაც მიუთითებს სამოქმედო გეგმის ოპერატიული დაგეგმვის შესაძლებლობაზე. თუმცა სკოლის მიერ წარმოდგენილ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული სტრატეგიული მიზნები სრულ თანხვედრაში არ არის სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრულ მიზნებთან (იხ. ინდიკატორი 1.2.1.3-ის აღწერა). ამასთან, როგორც 1.2.1.2 ინდიკატორის აღწერაშია სკოლის სტრატეგიული გეგმა მოიცავს სტრატეგიულ მიზნებს, ამოცანებს, აქტივობებს, პასუხისმგებელ პირებს, განხორციელების ვადებს, შესრულების ინდიკატორებს. სტრატეგიული განვითარების გეგმისა და ერთწლიანი გეგმის შედარებითმა ანალიზმა აჩვენა, რომ სკოლის სტრატეგიულ გეგმაში წარმოდგენილი ამოცანები არ არის სრულ თანხვედრაში ერთწლიანი გეგმაში განსაზღვრულ ამოცანებთან (მაგალითად სტრატეგიულ გეგმაში სტრატეგიული მიზანი „უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა“ მოიცავს 3 ამოცანას „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა“, „სკოლაში სხვადასხვა ინფექციის გავრცელების პრევენცია“ და ”უსაფრთხოების ნორმების დაცვა“, სამივე ამოცანაზე მუშაობა განსაზღვრულია სტრატეგიული გეგმის მოქმედების მთელ პერიოდზე. იმავე სტრატეგიული მიზნის შემთხვევაში ერთწლიანი გეგმა მოიცავს შემდეგ ამოცანებს: საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, უსაფრთხოების ნორმების დაცვა, უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება). სტრატეგიულ მიზნებსა და შესაბამის ამოცანებთან დაკავშირებით სტრატეგიულ და ოპერატიულ გეგმებს შორის არსებული განსხვავებები აისახება აქტივობებზეც. შესაბამისად, სტრატეგიულ და ერთწლიან დოკუმენტებს შორის დარღვეულია ერთიანი ლოგიკური კავშირი, როგორც სტრატეგიული მიზნების, ისე ამოცანების და აქტივობების დონეზე. ამრიგად, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა სრულად არ/ვერ უზრუნველყოფს სტრატეგიული მიზნების შესაბამის ამოცანებისა და აქტივობების განხორციელებას, რაც ზღუდავს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის თანმიმდევრულობასა და ეფექტიანობას.

ხარვეზი. სამოქმედო გეგმასა და სტრატეგიულ გეგმაში არსებული სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს, ასევე აქტივობებს შორის არსებული შინაარსობრივი აცდენა ადასტურებს, რომ სამოქმედო გეგმაში არ არის სრულად განსაზღვრული სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები.

ინდიკატორში დაფიქსირებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის ფარგლებში, სკოლამ აიღო ვალდებულება მოახდინოს სტრატეგიული და ერთწლიანი გეგმების რევიზირება. აღნიშნული პროცესის ორგანიზების მიზნით, სკოლამ 2025 წლის 5 ნოემბრის N2-255 ბრძანებით შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც დაევალა რევიზირების პროცესის დაგეგმვა და წარმართვა.
ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია, რის საფუძველზეც ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „მეტწილად დაკმაყოფილებულია“ და გასცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (03.11.2025-26.12.15.2025წ) უზრუნველყოს სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების რევიზია, სამოქმედო გეგმაში გაითვალისწინოს სტრატეგიული გეგმის მიზნები და ამოცანები. ამოცანების შესაბამისი აქტივობები

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N2-232 (01.09.2023 წ.) სსიპ-ქალაქ თბილისის N118 საჯარო სკოლის 7 (შვიდი) წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სამოქმედო გეგმა;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების დამტკიცების შესახებ.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის მიერ შემუშავებული სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. სკოლის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით, სტრატეგიული გეგმის განხორციელების მონიტორინგი ხორციელდება დაკვირვებისა და შეფასების გზით, რაც მოიცავს დაგეგმილი მიზნების მიღწევის ხარისხის ანალიზს და სტრატეგიის ეფექტიანობის შეფასებას. მონიტორინგის პროცესში გამოიყენება წერილობითი ანგარიშგების მექანიზმი. სტრატეგიული გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები რეგულარულად წარადგენენ ანგარიშებს განხორციელებული საქმიანობის შესახებ (ერთწლიანი გეგმის შემთხვევაში შესრულების ანგარიში ხორციელდება ყოველი სემესტრის ბოლოს ხოლო სტრატეგიულის შემთხვევაში 3 წელიწადში და 7 წლის გასვლის შემდეგ). მონიტორინგის პროცესის კოორდინაციასა და მონიტორინგს ახორციელებს სპეციალურად შექმნილი სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სტრატეგიის შესრულების სისტემატურ შეფასებას და შედეგების გამოყენებას სკოლის საქმიანობის შემდგომი დაგეგმვის პროცესში. ამრიგად, სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს შესაბამის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს, რაც უზრუნველყოფს სტრატეგიული მიზნების შესრულების პროცესის უწყვეტ და შედეგებზე ორიენტირებულ მართვას. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ეფექტურობისა და უწყვეტობის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია, რომ სკოლამ სტრატეგიული გეგმის შეფასება დაიწყოს გეგმის ვადის ამოწურვამდე გონივრული ვადით ადრე. ეს საშუალებას მისცემს სკოლას დროულად გამოავლინოს მიღწევები და ხარვეზები, შეაფასოს არსებული რესურსების გამოყენება და საჭიროების შემთხვევაში, განახორციელოს კორექტირებები მომდევნო სტრატეგიული ციკლის დაგეგმვისას.

სკოლას მიეცა რჩევა. სასურველია სტრატეგიული გეგმის ანგარიშის განხორციელება დაიწყოს სტრატეგიული გეგმის ვადის ამოწურამდე გონივრულ პერიოდით ადრე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

როგორც ინტერვიუთი და სკოლის ვებგვერდის ანალიზით დადგინდა, სკოლამ განახორციელა ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების სტატუსების განსაზღვრა და ატვირთა სკოლის ვებგვერდზე. თუმცა, სკოლამ ვერ წარმოადგინა სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ამსახველი მასალა. სკოლას არ ჰყავდა მონიტორინგისა და შეფასების პროცესის განხორციელებისთვის საკუთარი მეთოდოლოგიის მიხედვით განსაზღვრული სამუშაო ჯგუფი, შესაბამისად, აღნიშნული ჯგუფის სამუშაო პროცესი არაა დოკუმენტირებული შესაბამისი ოქმებით. გარდა ამისა, სკოლამ ვერ დაადასტურა სასკოლო საზოგადოების და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინება სამოქმედო გეგმის შეფასების პროცესში. სკოლას მეთოდოლოგიის მიხედვით სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება არ უწევდა მიმდინარე პერიოდში.

ხარვეზი: სკოლა მეთოდოლოგიის შესაბამისად არ ახორციელებს სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას. სკოლას არ უდასტურდება სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინება ერთწლიანი გეგმის შეფასების პროცესში.

ინდიკატორში დაფიქსირებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის ფარგლებში, სკოლამ წარმოადინა შემუშავებული კითხვარები. წარმოდგენილი კითხვარებით მოსწავლეებს, მშობლებს, მასწავლებლებს და სკოლის ადმინისტრაციას საშუალება ეძლევა შეაფასონ სკოლაში სასწავლო პროცესის ხარისხი, უსაფრთხოება, რაც სტრატეგიული მიზნების, ამოცანებისა და ერთწლიან სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული აქტივობების შეფასებას მიემართება. თვითონ კითხვარებით სასკოლო საზოგადოების დამოკიდებულებისა და შეხედულებების კვლევა კი უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში, რაც ასევე წარმოადგენს სკოლის ამოცანას. აღნიშნული პროცესისათვის სკოლამ განსაზღვრა პერიოდი 2025 წლის 15 ოქტომბრიდან 2026 წლის 30 ივნისამდე.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია, რის საფუძველზეც ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „მეტწილად დაკმაყოფილებულია“ და გასცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (15.10.2025-30.6.2026წ) სკლამ საკუთარი მეთოდოლოგიის შესაბამისად განახორციელოს სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება, ერთწლიანი გეგმის შეფასების პროცესში გაითვალისწინოს სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია

3.სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა. ის ატირთულია სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4.სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

სკოლის გასული სასწავლო წლის ერთწლიანი გეგმის შეფასების ანგარიში მოიცავს მხოლოდ ინფორმაციას აქტივობების შესრულების სტატუსზე და ვერ იდენტიფიცირდა მეთოდოლოგიის მოთხოვნათა შესაბამისად განხორციელებული შეფასების მტკიცებულებები, რაც ართულებს შედეგების სიზუსტისა და პროცესის გამჭვირვალობის დადასტურებას. ვიზიტის დროს სკოლის

დირექციასთან ინტერვიუთი და დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ სკოლას არ აქვს დოკუმენტირებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, აქვს მხოლოდ მონიშნული აქტივობის განხორციელების სტატუსები, ამასთან, სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები ან გასაუმჯობესებელი მიმართულებები არ არის გამოყოფილი, რის გამოც არ ჩანს, როგორ ახერხებს სკოლა ძლიერი მხარეების შენარჩუნებას და გასაუმჯობესებელ სფეროებზე მიზნობრივ მუშაობას. შედეგად, ვერ დგინდება თუ როგორ ახერხებს/როგორ იყენებს სკოლა სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგებს სკოლის შემდგომი განვითარების პროცესში.

ხარვეზი. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები არ/ვერ გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისათვის.

ინდიკატორში დაფიქსირებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის ფარგლებში, სკოლამ აიღო ვალდებულება შექმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, პასუხისმგებელი პირების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების განხილვასა და შესაბამისი ანალიზის დამუშავებას. მიღებული ანგარიშისა და ანალიზის შედეგების გამოყენებას ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში.

აღნიშნული პროცედურის განხორციელებისთვის, სკოლას განსაზღვრული აქვს პერიოდი 2026 წლის 1 ივნისიდან 30ივნისამდე. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია, რის საფუძველზეც ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „მეტწილად დაკმაყოფილებულია“ და გასცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში(01.06.2026-06.30.2026წ) უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის შესრულების გაანალიზება/შეფასება და შედეგები გამოიყენოს სკოლის შემდგომი განვითარებისათის.

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 31.08.2023 წლის ბრძანება N2-231 ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;
- სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
■ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლას დამტკიცებული აქვს საშტატო განრიგი და შემუშავებული აქვს სტრუქტურის ვიზუალური გამოსახულება/ორგანიგრამა, რაც მის ეფექტიან ფუნქციონირებას უზრუნველყოფს. საშტატო განრიგი ასახავს სკოლაში არსებული საკადრო ერთეულების რაოდენობას, ორგანიგრამა კი წარმოადგენს ვიზუალურ საშუალებას, რომელიც მკაფიოდ ასახავს სკოლის მმართველობით სტრუქტურას, სტრუქტურულ ერთეულებს, პოზიციებსა და მათ შორის არსებულ ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ურთიერთდაქვემდებარებას. სქემაში გამოყოფილი სტრუქტურები/პოზიციები შესაძლებლობას იძლევა, მარტივად იქნეს იდენტიფიცირებული თითოეული ერთეულის როლი, ფუნქცია და პასუხისმგებლობის ფარგლები. იგი ამარტივებს როგორც კომუნიკაციის, ისე პასუხისმგებლობების გამიჯვნის პროცესს და ხელს უწყობს რესურსების ოპტიმალურ მართვასა და საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზებულად განხორციელებას. სკოლაში დასაქმებულია დირექტორი, დირექტორის მოადგილეები, ბუღალტერი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საქმისმწარმოებელი, ინფორმაციული მენეჯერი, ბიბლიოთეკარი, სსსმ პირის ასისტენტები, ფსიქოლოგი, ექიმები, დარაჯები, დამლაგებლები და სხვა. დასაქმებულ პირებთან შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრულია კონკრეტული ფუნქციები. სკოლაში ფუნქციონირებს სტრუქტურული ერთეულები: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვიმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, მრჩეველთა საბჭო. როგორც სკოლის დირექტორთან ინტერვიუთი დადგინდა, სკოლა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობისა და მათი კოორდინაცისთვის ხელმძღვანელობს ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონისა და სკოლის მიერ შემუშავებული თანამდებობრივი ინსტრუქციებით. თანამშრომლებთან დადებული შრომითი ხელშეკრულებებით გაწერილია

მათი უფლება-მოვალეობები. სკოლის პერსონალთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ მათ გააზრებული აქვთ სკოლის მარეგულირებელი აქტებით მათთვის დაკისრებული ფუნქციები როგორც ინდივიდუალური პოზიციების, ასევე კოლეგიალური ორგანოების დონეზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (emis) ასახული პერსონალისა და მათი ხელშეკრულებების ანალიზით, სკოლის საშტატო განრიგით, თანამდებობრივი ინსტრუქციების დოკუმენტით და სკოლის ორგანოგრამით დასტურდება, რომ სტრუქტურული ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება სრულად მოიცავს იმ სფეროსა და არეალს, რომლებიც სკოლის ძირითად საქმიანობის შესრულებასა და მიზნებს უკავშირდება, არ ხდება ფუნქციათა დუბლირება და ხელს უწყობს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. გასაუბრება ჩატარდა სკოლის სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებთან, მასწავლებლებთან და ადმინისტრაციის წევრებთან. ინტერვიუს პროცესში მათ განმარტეს, თავიანთი ფუნქცია-მოვალეობების ფარგლებში როგორ უწყობენ ხელს საგანმანათლებლო საქმიანობას. მშობლებთან გასაუბრებითაც დადასტურდა, რომ ისინი ინფორმირებულნი არიან სკოლაში დასაქმებულ პირთა ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების შესახებ და საჭიროების შემთხვევაში იციან ვის უნდა მიმართონ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N1/კ-09 (24.02.2025 წ) საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ;
- ბრძანება N2-218 (18.09.2025 წ) თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე;
- სკოლის ორგანიგრამა;
- შრომითი ხელშეკრულებები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

   პერსონალის მართვის პროცესები სკოლას დარეგულირებული აქვს რამდენიმე დოკუმენტში. გარკვეული საკითხები (სამუშაოს ხანგრძლივობა, შვებულება, წახალისება და დისციპლინური პასუხისმგებლობა და ა.შ) დარეგულირებულია შინაგანაწესით და არ მოდის წინააღმდეგობაში კანონმდებლობასთან. დასაქმებულებთან გაფორმებული ხელშეკრულებები შესაბამისობაშია საქართველოს შრომის კოდექსთან. გარკვეული საკითხები პერსონალის მართვის პროცესებთან დაკავშირებით გვხვდება ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტსა და თანამდებობრივ ინსტრუქციებშიც, მასწავლებლის ვაკანტური საათების წესში და ა.შ. თუმცა სკოლას არ აქვს ერთიანი პოლიტიკის დოკუმენტი ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებით. ადმინისტრაციასთან და თანამშრომლებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ მათთან დაკავშირებული საკითხები კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება, თუმცა იკვეთება კანონმდებლობის მოთხოვნებთან შეუსაბამობა სკოლას დირექტორის ბრძანებით N2-433(18.12.2019) დამტკიცებულ კონკურსის ჩატარების წესში (აღნიშნული წესი არეგულირებს სკოლაში მასწავლებლის დასაქმებას) კომისიის შემადგენლობისა და მისი საქმიანობის მარეგულირებელი მუხლები შესაბამისობაშია მოსაყვანი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტო №174/ნ ბრძანების მოთხოვნებთან. კერძოდ, საჯარო სკოლის კომისიის წევრად უნდა განისაზღვროს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დარგობრივი დეპარტამენტის წარმომადგენელი, სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელი, სსიპ – მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი და მასწავლებელთა პროფესიული კავშირის წარმომადგენელი. ვიზიტის დროს, გასაუბრებითა და განხორციელებული პროცესის მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ სკოლა მასწავლებელთა შერჩევას ნამდვილად ახორციელებს კანონმდებლობის მიხედვით, თუმცა შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებთან აღნიშული პროცესი არ მოდის თანხვედრაში.

   ხარვეზი: მასწავლებლის ვაკანტურ პოზიციაზე ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ სკოლის მიერ დამტკიცებული წესი არ შეესაბამება საკანონმდებლო მოთხოვნებს, კერძოდ, სკოლის წესში არ არის გაწერილი კომისიის დაკომპლექტების საკითხი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანების შესაბამისად.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციას დაურთო 2025 წლის 6 ნოემბრის №2-259 ბრძანებით დამტკიცებული „სკოლაში ვაკანტურ ადგილზე თანამშრომელთა შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესი“, რომელშიც საკონკურსო კომისიის დაკომპლექტების საკითხი სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

ექსპერტთა ჯგუფმა, გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია, რის საფუძველზეც ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „დამაყოფილებულია“

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლას გააჩნია საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა. აღნიშნული პოლიტიკის არსებობა დადასტურდა თანამდებობრივი ინსტრუქციების დოკუმენტით, რომელშიც განსაზღვრულია დროებით სკოლაში არმყოფი დასაქმებულის შრომითი ურთიერთობის შეჩერების წესი და სკოლაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში დასაქმებულზე დაკისრებული ფუნქციების გადანაწილების მექანიზმი. ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა, რომ აღნიშნული წესები ფაქტობრივად მოქმედებს და უზრუნველყოფს სკოლაში სამუშაო პროცესის უწყვეტობასა და ეფექტიანად მართვას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლას, დირექტორის ბრძანებით N2-433 (18.12.2019), დამტკიცებული აქვს კონკურსის ჩატარების წესი, რომელშიც გაწერილია კადრების მოზიდვა/შერჩევის პროცედურები. მასწავლებელთა შერჩევა ხდება შიდა ან/და ღია კონკურსის საფუძველზე. დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება კონკურსის ვადები, ეტაპები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები და საკონკურსო კომისიის შემადგენლობა. ვიზიტის დროს გადამოწმდა სკოლის მიერ ჩატარებული ღია კონკურსის დოკუმენტაცია, რომლითაც დადასტურდა, რომ სკოლა ნამდვილად კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად ახორციელებს მასწავლებელთა შერჩევას ღია კონკურსის საფუძველზე, კერძოდ, მასწავლებლის ვაკანტურ პოზიციაზე ღია კონკურსი ცხადდება დასაქმების ვებგვერდზე www.teacherjobs.ge, საკონკურსო კომისია დაკომპლექტებულია კანონმდებლობის შესაბამისად, სხვადასხვა ორგანიზაციიდან მოწვეული პირებით, რაც უზრუნველყოფს ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვას. თუმცა, აღნიშნული ეხება მხოლოდ მასწავლებლის

შემთხვევას. სკოლას შიდამარეგულირებელი დოკუმენტით მხოლოდ მასწავლებლის შერჩევის პროცედურა აქვს დარეგულირებული და არ აქვს დაზუსტებული, რა პროცედურებით ხდება სხვა დასაქმებულის შერჩევა, რაც, დანარჩენ თანამშრომლებთან მიმართებით ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპს ეჭვქვეშ აყენებს. ამის დასტურია ისიც, რომ სკოლამ ვერ წარმოადგინა ექიმის შერჩევის პროცედურების მტკიცებულებები.

ხარვეზი: სკოლას არ აქვს თანამშრომლების (გარდა მასწავლებლისა) შერჩევის პროცედურების მარეგულირებელი დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია შერჩევის პროცედურების კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით წარმართვა.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციას დაურთო 2025 წლის 6 ნოემბრის №2-259 ბრძანებით დამტკიცებული „სკოლაში ვაკანტურ ადგილზე თანამშრომელთა შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესი“, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში ნებისმიერი თანამშრომლის დასაქმების წესს და პროცედურებს.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია, წარმოდგენილი მტკიცებულება და ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „დაკმაყოფილებულია“.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

ვიზიტის მიმდინარეობისას, განხილულ იქნა სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (Eschool) პერსონალის, მათ შორის, პედაგოგების მონაცემები. გარდა ამისა, გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები. დასტურდება, რომ თანამშრომელთა კვალიფიკაცია ძირითად შემთხვევაში შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. თუმცა დაწყებით საფეხურზე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, სპორტისა და მუსიკის საათები განაწილებულია იმ 13 პედაგოგზე, რომლებსაც დადასტურებული არ აქვთ კომპეტენცია აღნიშნულ საგანში/საგნობრივ ჯგუფში. გარდა ამისა, სკოლაში დასაქმებული 2 ექიმის კვალიფიკაცია არ შეესაბამება საკანონმდებლო მოთხოვნებს. კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, სკოლის ექიმად მუშაობისთვის კანდიდატს უნდა გააჩნდეს უმაღლესი სამედიცინო განათლება და დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი რომელიმე შემდეგ სპეციალობაში: ა) „პედიატრია“; ბ) „საოჯახო მედიცინა“; გ) „ზოგადი პროფილის ექიმი პედიატრი“. სკოლაში დასაქმებულ ერთ ექიმს აქვს დიპლომირებული მედიკოსის, ხოლო მეორეს - სამკურნალო საქმის ექიმის კვალიფიკაცია და რაც შეეხება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს

მიერ მინიჭებული სახელმწიფო სერტიფიკატს სკოლამ წარმოადგინა მხოლოდ ერთი ექიმის სერტიფიკატი - შინაგანი მედიცინის სპეციალობით.

ხარვეზი: სკოლაში დასაქმებული 13 მასწავლებლისა და 2 ექიმის კვალიფიკაცია არ შეესაბამება კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ინდიკატორში დაფიქსირებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის ფარგლებში სკოლამ განათავსა განცხადებები დასაქმების პლათფორმაზე teacherjobs.ge. მტკიცებულებად არგუმენტირებულ პოზიციას სკოლამ დაურთო 2025 წლის 7 ნოემბრის ბრძანება N2-264, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის, მე და საზოგადოების, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის ვაკანტური ადგილების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ და 2025 წლის 4 ნოემბრის ბრძანება N2-262, ექიმის შტატზე ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გამოცადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ. შესაბამისი სტატუსისა და კვალიფიკაციის მასწავლებლებისა და ექიმების შერჩევის ვადად სკოლამ განსაზღვრა პერიოდი 2025 წლის 4 ნოემბრიდან 2025 წლის 10 დეკემბრამდე.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია, რის საფუძველზეც ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „მეტწილად დაკმაყოფილებულია“ და გასცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (04.11.2025-10.12.2025წ) უზრუნველყოს კვალიფიცირებული მასწავლებლებისა და ექიმების დასაქმება

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლაში შექმნილი თანამშრომლობითი გარემო ადასტურებს, რომ სკოლის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება გუნდური, თანამშრომლობითი მუშაობის პრინციპებს. მასწავლებელთა შერჩევის პროცესს წარმართავს კომისია, რომლის წევრებიც არიან სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წევრები, რაც პერსონალის მართვაში მათ თანამონაწილეობას უზრუნველყოფს. სკოლაში ფუნქციონირებს შვიდი საგნობრივი კათედრა. მასწავლებლებთან გასაუბრებით და შესაბამისი დოკუმენტაციით დადასტურდა, რომ კათედრები პერიოდულად იკრიბებიან და უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ასევე განიხილავენ გეგმიურ საკითხებს. კათედრის თითოეული წევრი ჩართულია კურიკულუმების შემუშავების პროცესში. ანალოგიურად დადასტურდა სხვა

კოლეგიალური ორგანოების აქტიური თანამშრომლობაც. მშობლებმაც ინტერვიუში ხაზი გაუსვეს, რომ სკოლის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციის კულტურა ეფუძნება გუნდური, თანამშრომლობითი, მუშაობის პრინციპებს.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებულია პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისთვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისთვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისთვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისთვის თანამშრომელთა წახალისების შემდეგი ფორმები: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი ფულადი პრემიის გაცემა. ამასთანავე, სკოლას აქვს სოციალური ქსელი, სადაც პერიოდულად ხდება სიახლეების გაზიარება, სკოლის მიღწევების შესახებ ინფორმაციის განთავსება. სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებისა და სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე დგინდება, რომ წარმატებული გამოცდილების გაზირებისა და აღიარების მიზნით სკოლაში აქტიურად ტარდება სამუშაო შეხვედრები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N2-433(18.12.2019)კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ;
- https://teacherjobs.ge;
- ბრძანება N2-218 (18.09.2025 წ.)თანამდებობრივი ინსტრუქციებისდამტკიცების თაობაზე;
- შინაგანაწესი;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები და დანიშვნის ბრძანებები;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
■ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

ინტერვიუებისა და სკოლის მიერ წარმოდგენილი მასწავლებლის შეფასების ფორმით დადგინდა, რომ სკოლის პრაქტიკა მოიცავს მასწავლებლის მიერ საგაკვეთილო პროცესის მართვაზე დაკვირვებას და შეფასებას. ამ პროცესის ფარგლებში დირექცია, კათედრები, მენტორი მასწავლებელი აკვირდება მასწავლებლის მიერ გაწეულ საქმიანობას და აფასებს მასწავლებელსა და საგაკვეთილო პროცესს. ადგენს მასწავლებლის პროფესიული განვითარების საჭიროებას. თუმცა, სკოლამ ვერ წარმოადგინა მტკიცებულება, რომ მსგავსი შეფასება ხორციელდება სკოლაში დასაქმებულ სხვა პერსონალზე და იდენტიფიცირდება მათი პროფესიული განვითარების საჭიროებები. ამასთან სკოლას ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტში გაწერილი აქვს, რომ ადამიანური რესურსების პოლიტიკის დოკუმენტით არეგულირებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობას, რისთვისაც მათ შეფასებას ახორციელებს პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფით, თუმცა სკოლას არც ადამიანური რესურსების პოლიტიკის დოკუმენტისა და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფის შექმნის და არც შესაბამისი პროცესების განხორციელების მტკიცებულება არ წარმოუდგენია. შესაბამისად, სკოლას არ აქვს ერთიანი სისტემა არც მასწავლებლებთან, არც სხვა პერსონალთან დაკავშირებით, რომლითაც ის უზრუნველყოფს რელევანტური მექანიზმებით მათ შეფასებასა და პროფესიული საჭიროებების დადგენას, არ დასტურდება შეფასების სახეები, პერიოდულობა, პროცესზე პასუხისმგებელი პირები და ა.შ. არ ჩანს, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმირებულნი არიან თანამშრომლები.

ხარვეზი: სკოლას არ გააჩნია სრული, სისტემური მექანიზმები თანამშრომელთა პროფესიული საჭიროებების დადგენისა და შეფასებისთვის.

ინდიკატორში დაფიქსირებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, არგუმენტირებულ პოზიციას სკოლამ დაურთო სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 5 ნოემბრის სხდომის ოქმი N9 ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების თაობაზე, მასწავლებელის და სკოლაში დასაქმებული სხვა პირის შეფასების ფორმები, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დაკომპლექტების ბრძანება N 2-265. შეიმუშავა თანამშრომელთა და მასწავლებელთა კითხვარები და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრა რომ თანამშრომელთა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების გეგმის შედგენას უზრუნველყოფს 2025 წლის 7 ნოემბრიდან 2026 წლის 30 მარტამდე პერიოდში.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „მეტწილად დაკმაყოფილებულია“ და გასცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (7.11.2025-30.03.2026წ) 2025წლის 5 ნოემბერს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ადამიანური რესურსების განვითარების პოლიტიკის შესაბამისად, შემუშავებული კითხვარების გამოყენებით, უზრუნველყოს დააქმებულთა პროფესიული საჭიროებების დადგენა

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

პერსონალთან გასაუბრებით გამოიკვეთა პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული რამდენიმე ერთჯერადი ხასიათის აქტივობა (მენტორი მასწავლებლის მიერ ჩატარებული 3 სამუშაო შეხვედრა, ბუღალტრის მიერ ტრენინგის გავლა, კათედრების მიერ პერიოდულად პრობლემურ საკითხებზე შეხვედრა და მსჯელობა). თუმცა ვინაიდან სკოლას არ აქვს პერსონალის საჭიროების იდენტიფიცირებისა და პროფესიული განვითარების ინდივიდუალური გეგმის შექმნის პრაქტიკა, შესაბამისად ვერ დგინდება კავშირი პროფესიული განვითარების აქტივობებსა და საჭიროებებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ სამოქმედო გეგმით სკოლას გათვალისწინებული აქვს თანამშრომელთა პროფესიული საჭიროებების კვლევა და მათი განვითარებისთვის საჭირო ტრენინგების, სემინარების მოძიება, მათთვის საჭიროების შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება, არ დასტურდება მსგავსი პროცესების სკოლის მიერ განხორციელება, სკოლას არ აქვს ამის შესაბამისი არც ინსტრუმენტები და არც რეალური პრაქტიკა.

ხარვეზი: სკოლას არ აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პერსონალის პროფესიული განვითარების სისტემური პრაქტიკა.

ინდიკატორში დაფიქსირებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, არგუმენტირებულ პოზიციას სკოლამ დაურთო სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 5 ნოემბრის სხდომის ოქმი N9 ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების

თაობაზე, მასწავლებელის და სკოლაში დასაქმებული სხვა პირის შეფასების ფორმები, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დაკომპლექტების ბრძანება N 2-265. შეიმუშავა თანამშრომელთა და მასწავლებელთა კითხვარები და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრა რომ თანამშრომელთა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების გეგმის შედგენას უზრუნველყოფს 2025 წლის 7 ნოემბრიდან 2026 წლის 30 მარტამდე პერიოდში.
ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია, ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „მეტწილად დაკმაყოფილებულია“ და გასცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (7.11.2025-30.03.2026წ) უზრუნველყოს პერსონალის გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე მათი განითარების გეგმის შემუშავება/განორციელება

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

სკოლა ინტენსიურად აწვდის სკოლის თანამშრომლებს ინფორმაციას განათლების სისტემაში გამოცხადებულ პროფესიული განვითარების ღონისძიებების შესახებ, რათა მათ შეძლონ კარიერული წინსვლა. ბევრმა მასწავლებელმა აიმაღლა სტატუსი კარიერული წინსვლის სქემით. სკოლას ჰყავდა მაძიებელი მასწავლებლი, რომელმაც ტუტორის დახმარებით წარმატებით გაიარა მასწავლებლობის მაძიებლობის პროგრამა და მიენიჭა უფროსი მასწავლებლის სტატუსი. მასწავლებლებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ სკოლის ადმინისტრაცია ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას, აცნობს საგანმანათლებლო სისტემაში განხორციელებულ ცვლილებებს და ინფორმაციას იმ შესაძლებლობებთან დაკავშირებით, რომლებიც განათლების სისტემაშია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

ინტერვიუს ფარგლებში დირექციამ და მასწავლებლებმა პრაქტიკულ მაგალითებზე დაყრდნობით აღწერეს ის პროცესი, რომელსაც ახორციელებენ ახალი თანამშრომლის მიღებისას. გასაუბრებით დადასტურდა, რომ სკოლა ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მიზნით იყენებს სხვადასხვა ღონისძიებასა და აქტივობას, მათ შორის: ახალი თანამშრომლისათვის სკოლის ორგანიზაციული კულტურის გაცნობა, სკოლის დათვალიერება, მისი პირადი ფუნქცია-მოვალეობების გაცნობა და განმარტება, ინფორმირება სკოლაში მიმდინარე სასწავლო და სააღმზრდელო პროცესების შესახებ, სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაციის გაცნობა, სკოლის თანამშრომლებისთვის ახალი თანამშრომლის წარდგენა, თანამშრომლის დამატება სკოლის საკომუნიკაციო დახურულ ჯგუფებში. თუმცა, აღნიშნული პროცესი არ არის გაწერილი შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით. შესაბამისად, სასურველია, სკოლამ ახალი

თანამშრომლის ინტეგრაციის სისტემურობის უზრუნველსაყოფად პრაქტიკაში გამოყენებული პროცესები დაარეგულიროს დოკუმენტური რეგულაციითაც.

რჩევა: სასურველია, სკოლამ ახალი თანამშრომლის ინტეგრაციის სისტემურობის უზრუნველსაყოფად პრაქტიკაში გამოყენებული პროცესები დაარეგულიროს დოკუმენტური რეგულაციითაც. სკოლამ გაითვალისწინა აღნიშნული რჩევა.

არგუმენტირებულ პოზიციას თან დაურთო 2025 წლის 4 ნოემბრის ბრძანება N2-254 სკოლის თანამშრომლის ადაპტაციის წესი, რომლითაც განსაზღრა ადაპტაციის წესის მიზნები, ადაპტაციის ეტაპები, ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5.წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

სკოლას შინაგანაწესში გაწერილი აქვს მკაფიოდ განსაზღვრული წახალისების მექანიზმები, რომლებიც მოიცავს როგორც არამატერიალურ, ისე მატერიალურ ფორმებს (მადლობის გამოცხადება, სიგელით ან ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი პრემიის გაცემა და სხვ.). აღნიშნული პოლიტიკა ხელს უწყობს თანამშრომელთა მოტივაციის ამაღლებას და პროფესიული პასუხისმგებლობის გაზრდას. პერსონალთან გასაუბრებისას დასახელებული იქნა მათი პროფესიული ინიციატივების წახალისების მაგალითები (სკოლის ბუღალტრის მიერ ტრენინგის გავლის დაფინანსება სკოლის ბიუჯეტიდან). დირექციას აქვს მზაობა, მოუსმინოს თანამშრომელთა ინიციატივებს და ხელი შეუწყოს მათ განხორციელებაში, მსგავსი ინიციატივები ძირითათ დაფიქსირდა მასწავლებლების მიერ გამოცდილების გაზიარებასთან დაკავშირებით, რომელიც უზრუნველყოფილი იქნა სამუშაო შეხვედრებისა თუ ურთიერთდასწრების პრაქტიკით. ადმინისტრაცია სისტემატურად აწვდის ინფორმაციას პერსონალს განათლების სისტემაში მიმდინარე კონკურსებისა თუ საგრანტო შესაძლებლობების, პროფესიული განვითარების პროექტების შესახებ და გამოხატავს მზაობას, მხარი დაუჭიროს მათ ინიციატივებს აღნიშნულ პროექტებსა თუ პროგრამებში ჩართვასთან დაკავშირებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების ფორმები;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;

- შინაგანაწესი.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

[redacted]ეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლას შემუშვებული აქვს დოკუმენტი „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი“, რომელიც მიზნად ისახავს სწავლა/სწავლების, სასწავლო გარემოსა და პროცესების ხარისხის მართვის რეგულირებას, აგრეთვე ხარისხის გაუმჯობესების მიზნით საჭირო ღონისძიებების განსაზღვრას. დოკუმენტში დეტალურად არის აღწერილი ხარისხის განვითარების ინდიკატორები, რომლებიც მრავალმხრივ მოიცავს საგანმანათლებლო საქმიანობის მნიშვნელოვან კომპონენტებს, მათ შორის:

- საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსობრივი და სტრუქტურული შეფასება;
- სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ხარისხის მონიტორინგი;
- სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების, დაგეგმვისა და განხორციელების პროცესის შეფასება;
- ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება;

- ადამიანური რესურსების შეფასება და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემოწმება და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- სკოლის მატერიალური რესურსების განვითარება და ეფექტიანი გამოყენება.

აღნიშნული მიდგომები ხაზს უსვამს სკოლაში ხარისხის მართვის სისტემის არსებობის მნიშვნელობას და სკოლის დამოკიდებულებას. დოკუმენტით გაწერილია ვალდებულება, რომ სკოლა საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისას დაეყრდნობა ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება ეფუძნება დემინგის ციკლს (PDCA), აღნიშნული მიდგომის სისტემურობა სხვა მიმართულებებში ნაკლებად არის გამოხატული. კერძოდ, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანალიზი და მისი შეფასების შედეგების გამოყენება მომდევნო წლის სამოქმედო გეგმის დაგეგმვისას არ იკვეთება, ისევე როგორც არ იკვეთება იგივე მიდგომა თანამშრომელთა შეფასებაში და ამ შეფასების საფუძველზე დასაქმებულთა შემდგომი განვითარების დაგეგმვაში. შესაბამისად, გამოიკვეთა ხარვეზი დემინგის ციკლის — როგორც სისტემური მართვის მოდელის სრული მასშტაბით გამოყენებაში.

ხარვეზი. **პროცესული მიდგომა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი საჭიროებს ორგანიზაციულ დონეზე განმტკიცებას, რათა უზრუნველყოფილი იყოს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიანი და მდგრადი განვითარება ყველა მიმართულებით.**

შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში სკოლამ როგორც ძირითად, ასევე დამხმარე და ადმინისტრაციულ პროცესებთან მიმართებით დემინგის ციკლის, როგორც სისტემური მართვის მოდელის ორგანიზაციულ დონეზე განმტკიცებისათვის, განსაზღვრა პერიოდი 2025 წლის 10 ნოემბრიდან 2026 წლის 30 ივნისამდე. წარმოადგინა განსახორციელებელი აქტივობების ნუსხა და აიღო მონიტორინგის ჯგუფის შექმნის ვალდებულება. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია, რის საფუძველზეც ინდიკატორის შეფასება არ არის დაკმაყოფილებული შეცვალა შეფასებით მეტწილად დაკმაყოფილებულია და გასცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (10.11.2025-30.06.2026წ) უზრუნველყოს დემინგის ციკლის - როგორც სისტემური მართვის მოდელის სრული მასშტაბით გამოყენება სკოლაში მიმდინარე ყველა პროცესთან მიმართებით

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლას დოკუმენტურად აქვს გაწერილი სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკაში. მმართველობითი პროცესები უკავშირდება სკოლის საქმიანობის

დაგეგმვასა და კონტროლს. მასში იგულისხმება სხვადასხვა პროცესების დაგეგმვა, მისი განხორციელების მონიტორინგი და შეფასება (სტრატეგიული დაგეგმვა, ხარისხის უზრუნველყოფა და წლიური დაგეგმვა). ძირითად პროცესად სკოლაში განისაზღვრება: სასკოლო კურიკულუმის შემუშავება/გაუმჯობესება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა. მმართველობით და ძირითად პროცესებთან ერთად სკოლა ახორციელებს ისეთ დამხმარე პროცესებს, როგორიცაა მოსწავლის სერვისების განხორციელება, საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება, მატერიალური რესურსის მართვა, ფინანსური რესურსების მართვა, ადამიანური რესურსების მართვა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა, საქმის წარმოება (დოკუმენტბრუნვა) და სხვა. დირექციასთან გასაუბრებით დასტურდება, რომ მათ გააზრებული აქვთ აღნიშნული პროცესების მნიშვნელობა და როლი საგანმანათლებლო მიზნების მიღწევისთვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლას შემუშვებული აქვს შემოსული განცხადებისა და საჩივრის განხილვის პროცედურა (ბრძანება N2-294. 26.10.2023 წელი), რომლის მოქმედებაც ვრცელდება სასკოლო საზოგადოების (მოსწავლე, მშობელი, თანამშრომელი) ყველა წევრზე. სკოლა იღებს ვალდებულებას, რომ საჩივრის განხილვის სისტემა იყოს მიუკერძოებელი, გამჭვირვალე და უზრუნველყოფს პირის კანონიერი უფლებების დაცვას. აღნიშნული დოკუმენტი საჯაროდ ხელმისაწვდომია. ის განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე. დოკუმენტი აღწერს საჩივრის წარდგენის ფორმას, ვადებს, ითვალისწინებს კომისიის ფორმირებას ინტერესთა კონფლიქტის გარეშე, დისციპლინური სახდელის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების ზოგად წესს და ასევე მასწავლებლის ვაკანსიის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის შედეგების გასაჩივრების დეტალურ წესს. სკოლაში ფუნქციონირებს ასევე დისციპლინური კომიტეტი. სკოლის დირექციამ ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ აღნიშნული დოკუმენტის გამოყენების პრაქტიკა არ ჰქონია, რადგან არ დაფიქსირებულა საჩივარი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლაში, შიდა მარეგულირებელი აქტების საფუძველზე, რეგულირდება როგორც პერსონალის, ასევე მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების კანონიერი უფლებების დაცვა. სკოლას აქვს შემუშავებული შინაგანაწესი, რომელიც მოიცავს თანამშრომლების

შრომითი უფლებების სრულ სპექტრს, მათ შორის: სამუშაო დროისა და რეჟიმის განსაზღვრას, ანაზღაურების წესსა და შვებულების გაცემის პირობებს, შრომის დაცვის წესებს, საჩივრების განხილვის ზოგად მექანიზმებს, წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის წესებს. შინაგანაწესით გაწერილია დასაქმებულთა სამართლებრივი დაცვის ძირითადი ინსტრუმენტები, რაც უზრუნველყოფს მათი უფლებების დაცვას. სკოლაში მოქმედებს საჩივრის განხილვის მექანიზმი, რომელიც განსაზღვრავს დისციპლინური გადაცდომების განხილვის პროცესს. შექმნილია დისციპლინური საბჭო, რომელიც ფუნქციონირებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და უზრუნველყოფს პროცედურების გამჭვირვალობასა და ობიექტურობას. დასაქმებულთა და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობა სკოლის საქმიანობაში უზრუნველყოფილია მოქმედი მმართველობითი სტრუქტურების მეშვეობით. მასწავლებლები ჩართულნი არიან პედაგოგიური საბჭოს მუშაობაში, რაც ხელს უწყობს კოლეგიალურობასა და გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის შესაძლებლობას. მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები და მასწავლებლები არჩეულნი არიან სამეურვეო საბჭოში, რაც დამატებით უზრუნველყოფს მათი უფლების რეალიზებას მონაწილეობა მიიღონ სკოლის მართვის პროცესებში. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რაც იძლევა შესაძლებლობას, რომ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოსწავლეთა ხმა იყოს გათვალისწინებული და ხელს უწყობს დემოკრატიული კულტურის განვითარებას და ინდივიდუალური უფლებების დაცვას. შრომით ხელშეკრულებებსა და მშობლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში ცალსახად განსაზღვრულია მხარეთა უფლება-მოვალეობები და საჩივრების წარდგენის მექანიზმები. სკოლის მიერ გამოცემულ ყველა სამართლებრივ აქტში მითითებულია გასაჩივრების წესი, ადგილი და ვადები, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს სამართლებრივი გარემოს დაცულობას სკოლაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N2-324 (24.11.2023 წ) ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ;
- ბრძანება N2-294.(26.10.2023 წელი) შემოსული განცხადებისა და საჩივრის განხილვის პროცედურა;
- დასაქმებულებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- პადსაბჭოს ოქმები;
- სამეურვეო საბჭოს ოქმები.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლას გააჩნია მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების აქტიურ ჩართულობას და გამჭვირვალე მართვას. კერძოდ: სკოლის მიერ შემუშავებული საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი (ბრძანება N2-222. 23.09.2025 წელი) განსაზღვრავს კომუნიკაციის ფორმებს, არხებს და პასუხისმგებელ პირებს, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის დროულ და სრულფასოვან მიწოდებას მოსწავლეებისთვის, მშობლებისთვის და თანამშრომლებისთვის. სკოლას ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს სკოლის ვებგვერდისა და სოციალური ქსელის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირები, სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დგეგმის მეთოდოლოგია ითვალისწინებს სკოლის განვითარების გეგმების, მიზნებისა და მიღწევების საჯაროობას, რაც ხელს უწყობს საზოგადოების ინფორმირებულობას და ჩართულობას. დამრიგებლის პროგრამა წარმოადგენს მნიშვნელოვან არხს უკუკავშირის მიღებისა და რეაგირებისთვის, რაც საშუალებას აძლევს სკოლას დროულად მოახდინოს მოსწავლეთა და მშობელთა საჭიროებების იდენტიფიცირება და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები. ინტერვიუს დროს მოსწავლეებმა აღნიშნეს დამრიგებლების მხრიდან ინფორმაციის დროულად მიწოდებაზე.

ინდიკატორია დაკმაყოფილებულია

2.უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა

სკოლაში ვიზიტისას წარმოდგენილი მტკიცებულებები და ინტერვიუს საფუძველზე მიღებული ინფორმაცია ადასტურებს, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის: მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლების მონაწილეობა სასკოლო ცხოვრებასა და მმართველობით პროცესებში. სამეურვეო საბჭოს საქმიანობა დაფიქსირებულია შესაბამისი სხდომების ოქმებით, დღის წესრიგითა და მიღებული გადაწყვეტილებებით, რაც მიუთითებს საბჭოს აქტიურ ფუნქციურ ჩართულობაზე სკოლის მმართველობაში. მოსწავლეთა თვითმმართველობა მოქმედებს დადგენილი წესების შესაბამისად.

წარმოდგენილია მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების წესი (ბრძანება N2-227, 10.10.2023), საარჩენო კომისიის სხდომის ოქმი, ასევე თვითმმართველობის მიერ ჩატარებული შეხვედრების ოქმები, სადაც ჩანს ინიციატივების განხილვა და განხორციელება. მოსწავლეთა ინტერვიუების დროს დადასტურდა, რომ თვითმმართველობის თავჯდომარე და კლასების წარმომადგენლები ე.წ. პრეზიდენტები, აქტიურად მონაწილეობენ სკოლის მმართველობით პროცესებში. მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ ინიცირებული საკითხები, მათ შორის წრეებისა და კლუბების შექმნა, სკოლამ გაითვალისწინა, რაც მოწმობს მოსწავლეთა ხმის გათვალისწინებას. გარდა ამისა, მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლები ჩართულნი არიან სამეურვეო საბჭოში და დისციპლინურ კომიტეტში, რაც კიდევ უფრო აძლიერებს მათი ჩართულობის ხარისხს სკოლის შიდა მმართველობაში. მასწავლებლები აქტიურად მონაწილეობენ სასკოლო დოკუმენტების, მათ შორის კურიკულუმის და შეფასების სისტემის განხილვაში, რაც დასტურდება პედაგოგიური საბჭოს ოქმებით.

აღნიშნული მტკიცებულებები ადასტურებს, რომ სკოლაში რეალურად ფუნქციონირებს მონაწილეობითი და კოლეგიალურობაზე დაფუძნებული მართვის მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრების უფლებრივ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება 2-227 (10.10.2023 წ) მოსწავლეთა თვითმმათველობის არჩევნების წესის დამტკიცების თაობაზე;
- სამეურვეო საბჭოს ოქმები;
- პედსაბჭოს ოქმები;
- ბრძანება N2-222.(23.09.2025 წ.)საზოგადოებასთან ურთიერთობის წესის დამტკიცების თაობაზე.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
■ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

სკოლას შემუშავებული და სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული აქვს ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი (სამეურვეო საბჭოს ოქმი №5, 2025 წლის 19 სექტემბერი). აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს სკოლის პასუხისმგებლობას უსაფრთხო გარემოს შექმნისა და შენარჩუნების მიმართულებით სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას სკოლისა და მის მიმდებარე ტერიტორიის ფარგლებში. მექანიზმის მიზანია მოსწავლეების, პედაგოგების და სკოლის თანამშრომლების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა. დოკუმენტი ეფუძნება: საქართველოს კანონს ზოგადი განათლების შესახებ; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესსა და პირობებს“. აღნიშნული მექანიზმის შესაბამისად, სკოლაში უსაფრთხოების ნორმები მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

- სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა და შესაბამისი პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა;
- საგანგებო შტაბის შექმნა და სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავება;

- საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფა მანდატურებისა და ადმინისტრაციის მიერ სასკოლო დროის განმავლობაში;
- მასწავლებელთა მორიგეობის გრაფიკის დანერგვა უსაფრთხოების დამატებითი კონტროლის მიზნით.

დოკუმენტით ასევე დადგენილია, რომ სკოლაში რეგულარულად უნდა ჩატარდეს სასწავლო და საინფორმაციო შეხვედრები სასკოლო საზოგადოებისათვის სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის პროცედურების შესახებ. ვიზიტის პერიოდში დადგინდა, რომ აღნიშნული შეხვედრები ჯერ ჩატარებული არ იყო, რაც დირექტორის განმარტებით განპირობებული იყო იმით, რომ აღნიშნული ვალდებულება სკოლამ მიმდინარე წლის 19 სექტემბერს აიღო და შესაბამისი ქმედებები ჯერ არ ჰქონდათ დაგეგმილი. სკოლის ტერიტორიაზე უცხო პირთა შესვლა დასაშვებია მხოლოდ დირექციის წინასწარი თანხმობით და სპეციალურ ჟურნალში რეგისტრაციის შემდეგ. დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც რეგულარულად განიხილავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის საკითხებს. საბჭო აწარმოებს ოქმებს და სთავაზობს დირექტორს რეკომენდაციებს პრევენციული და რეაგირების ღონისძიებების გაუმჯობესების მიზნით. ქიმიის ლაბორატორიაში გაკრულია უსაფრთხოების წესები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ინფორმირებულობას და უსაფრთხო ქცევის ჩამოყალიბებას სასწავლო პროცესის განმავლობაში. სასწავლო პროცესი სკოლაში სრულდება 17:30 საათზე. გაიჯარებულ ფართში სწავლება იწყება 17:00 საათზე. უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სკოლამ შესაბამისი ორგანიზაციული ზომებით უზრუნველყო გაიჯარებული ფართის გამიჯვნა ისე, რომ სკოლის მოსწავლეებს არ აქვთ შეხება იმ პირებთან, რომლებიც გაიჯარებულ სივრცეში მოქმედ წრეებში სწავლობენ.

ვიზიტის პერიოდში სკოლის ეზოს ღობის მთლიანობა იყო დარღვეული და მიმდინარეობდა ეზოს მოწყობის სამუშაოები. გარდა ამისა, სკოლის კვების ბლოკის ტერიტორიაზე ელექტროგაყვანილობის სისტემა იყო მოუწყობელი: ელექტროსადენები ღიად იყო განთავსებული, რაც ქმნიდა უსაფრთხოების სერიოზულ რისკს მოსწავლეებისთვის.

როგორც წინა ვიზიტის დროს შემუშავებული დასკვნიდან ირკვევა სკოლას გაკეთებული აქვს მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და მიღებული აქვს რეკომენდაციები. სკოლამ აღნიშნული რეკომენდაციები ან/და მისი შესრულების მტკიცებულება ვიზიტის დროს არ/ვერ წარმოადგინა. წარმოადგინა მხოლოდ სკოლის მიერ მიმდინარე წლის 23 სექტემბერს შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში გაგზავნილი განცხადება სადაც იგი ითხოვს „შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით დასკვნის მომზადებას“ და შსს-ს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ-ის - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სამმართველოს მიმდინარე წლის 25 სექტემბრის კორესპონდენცია, სადაც ეს უკანასკნელი ითხოვს სკოლიდან დამატებით „საბუთების“ წარდგენას, გარეწყალმომარაგების (ჰიდრანტის) შესახებ ინფორმაციას.

სკოლას უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული და დამტკიცებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

სკოლამ წარმოადგინა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა №002332324, რომლის მიხედვთაც „სკოლის შენობის ყველა ნაკვეთურის და საქვაბის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, თუმცა მეორე ნაკვეთური სეისმურ ნორმებთან შეუსაბამოა. შენობას არ გააჩნია სერიოზული ბზარები, არ შეიმჩნევა არათანაბარი ჯდენები და დეფორმაციები. შენობა ტექნიკურად გამართულია; დაზიანებები დეფორმაციათა მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით I ხარისხისაა (მცირე არაკონსტრუქციული დაზიანება). შენობის დღევანდელი ტექნიკური მდგომარეობიდან გამომდინარე მისი ფუნქციონირება უსაფრთხოა, ამასთან შენობის შემდგომი ხანგრძლივი უსაფრთო ექსპლოატაციისათის საჭიროა გათვალისწინებულ იქნას კვლევით ნაწილში მოცემული რეკომენდაციები”

სკოლას არ ჰყავა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

სკოლას მიეცა რჩევა სასურველია:

ა. გაითვალისწინოს ექსპერტის მიერ გაცემული რჩევები შენობის ექსპლოატაციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით ;

ბ. უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის დანიშვნა .

ხარვეზი:

ა.სკოლის ეზოს ღობის მთლიანობა დარღვეულია

ბ.ვიზიტის პერიოდში სკოლის კვების ბლოკის ტერიტორიაზე ელექტროგაყვანილობის სისტემა იყო მოუწყობელი. ელექტროსადენები ღიად იყო განთავსებული, რაც ქმნიდა უსაფრთხოების სერიოზულ რისკს მოსწავლეებისთვის.

არგუმენტირებულ პოზიციას სკოლამ დაურთო ფოტო მასალა, რომელზეც ჩანს, რომ უზრუნველყო ღიად დატოვებული ელექტროსადენების მოწესრიგება. რაც შეეხება სკოლის ეზოს შემოღობვას სკოლამ შესაბამისობის უზრუნელყოფის გეგმით აიღო ვალდებულება, რომ სკოლის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოების დასრულების შემდგომ 2025 წლის 24 სექტემბრიდან-2026 წლის 30 სექტემბრამდე მოხდება სკოლის ეზოს სრულად შემოღობვა.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია, რის საფუველზეც ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „მეტწილად დაკმაყოფილებულია“ და გასცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (24.09.2025-30.09.2026წ) უზრუნველყოს ეზოს შემოღობვა.

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებული.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლის შენობის პირველ სართულზე განთავსებულია სკოლის ექიმის კაბინეტი. სკოლაში დასაქმებულია ორი ექიმი, რომელთა კვალიფიკაცია არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. ექიმის კაბინეტი აღჭურვილია საჭირო სამედიცინო ინვენტარით, თუმცა არ არის კომპიუტერი, სამედიცინო პუნქტში არ არის გამყოფი ბარიერი (მოძრავი შირმა, ფარდა და სხვა). ექიმთან ინტერვიუთი დადასტურდა, რომ იგი ახორციელებს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ყველა ღონისძიებას. მოსწავლის მიმართვის შემთხვევაში, ექიმი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს შესაბამის დახმარებას და ინფორმაციას აწვდის მშობელს/კანონიერი წარმომადგენელს დამრიგებლის დახმარებით. საჭიროების შემთხვევაში იძახებს სასწრაფო სამედიცინო დახმარებას. სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფა დადასტურდა მოსწავლეებთან, მშობლებთან და თანამშრომლებთან ჩატარებული ინტერვიუებითაც. სამედიცინო კაბინეტში არსებული დოკუმენტაციის შესწავლით გამოვლინდა, რომ:

- ექიმი ახორციელებს სასკოლო კვების ობიექტის შეფასებას და ადგენს შესაბამისობის აქტს. სკოლამ წარმოადგინა გასული სასწავლო წლის განმავლობაში შედგენილი მხოლოდ ერთი ასეთი აქტი, რის საფუძველზეც მიეცა რჩევა სასურველია გაზარდოს კვების ობიექტის შემოწმებების სიხშირე და უზრუნველყოს პროცესის უწყვეტობა.
- ექიმი არ აწარმოებდა დახარჯული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების და სკოლაში გაწეული სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმებს.

ხარვეზი:

ა.ექიმი არ აწარმოებს დახარჯული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების და სკოლაში გაწეული სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმებს.

ბ.ექიმის კაბინეტში არ არის კომპიუტერი.

გ.სამედიცინო პუნქტში არ არის გამყოფი ბარიერი (მოძრავი შირმა, ფარდა და სხვა).

რჩევა. სასურველია ექიმმა გაზარდოს კვების ობიექტის შემოწმებების სიხშირე და უზრუნველყოს პროცესის უწყვეტობა. სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რჩევა და არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა კვების ობიექტის შემოწმების აქტები.

დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციას დაურთო ფოტო მასალა, რომელიც ადასტურებს, რომ სკოლის ექიმმა დაიწყო დახარჯული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების აღრიცხვა და სკოლაში გაწეული სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმების წარმოება. ასევე სამედიცინო ოთახში განთავსდა კომპიუტერი და მოეწყო გამყოფი ბარიერი

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია, რის საფუძველზეც ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „დაკმაყოფილებულია“

3.სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად სკოლას ჰყავს 3 დარაჯი, რომლებიც აკონტროლებენ ვიზიტორთა გადაადგილებას სკოლაში. სკოლის დარაჯს თანამდებობრივი ინსტრუქციით განსაზღვრული აქვს სკოლის ტერიტორიაზე შესვლა-გასვლის კონტროლი. ვიზიტის პერიოდში დადასტურდა, რომ სკოლის დარაჯი ნამდვილად ასრულებს თავის ფუნქცია-მოვალეობას. გასაუბრებისას მოსწავლეებმა, მშობლებმა და მასწავლებლებმა დაადასტურეს, რომ სკოლის ტერიტორიის საგაკვეთილო პროცესში დატოვება შესაძლებელია მხოლოდ მშობლების მიერ სკოლის წინასწარი გაფრთხლებით. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისთვის სკოლა იყენებს მასწავლებლების მორიგეობის პრაქტიკას. სკოლამ წარმოადგინა მასწავლებლების მორიგეობის განრიგი დამტკიცებულ ბრძანებასთან ერთად(N2-212, 01.10.2025 წელი). აღნიშნული საკითხი დადასტურდა მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებითაც. სკოლას ჰყავს 3 მანდატური, რომლებიც კანონმდებლობის შესაბამისად ასრულებენ თავიანთ ფუნქცია-მოვალეობებს.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4.სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს
სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დამრიგებლები სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში მუშაობენ მოსწავლეებში ემოციური და სოციალური უნარების განვითარებაზე და განიხილავენ ისეთ მნიშვნელოვან თემებს, როგორიცაა მაგალითად ბულინგი. აღნიშნულთან დაკავშირებით ტარდება სასკოლო პროექტები. სკოლაში მოქმედებს ბავშვთა მიმართ განხორციელებული ძალადობის შემთხვევებზე რეაგირებისათვის შიდა ინსტრუქცია. აღნიშნულის თანახმად, მოსწავლეზე ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ემოცური, ეკონომიკური და ა.შ. ძალადობის ნიშნების შესახებ ეჭვის გაჩენის შემთხვევაში ხდება მოსწავლესთან გასაუბრება. ასევე, სკოლის მიერ განსაზღვრული რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი ახდენს აღნიშნული მოსწავლის მიმართ შესაბამისი ღონისძიებების გატარებას. სკოლას ჰყავს ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები: სპეციალური მასწავლებელი, ფსიქოლოგი, პირადი ასისტენტები და ა.შ. რომლებიც უზრუნველყოფენ განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფის სსსმ

მოსწავლეების ემოციურ, ფსიქოლოგიურ სტაბილურობასა და უსაფრთხოებას. სკოლას ჰყავს მრჩეველთა საბჭო, რომელიც უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდებას ახდენს სასკოლო საზოგადოებისათვის და მანდატურები, რომლებიც ასევე ზრუნავენ სკოლაში უსაფრთხო გარემოს შექმნაზე. მშობლებმა და მოსწავლეებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ სკოლაში შექმნილია ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემო.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5.სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფის მიზნით სკოლაში დასაქმებულია 6 დამლაგებელი, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის დასუფთავებას ყოველდღიურად, რაც დასტურდება მათ მიერ სპეციალურ ფორმაში ხელმოწერით. სასკოლო საზოგადოების წევრებმაც ინტერვიუში დაადასტურეს, რომ სკოლა ყოველდღიურად უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმების დაცვას. ბუღალტერთან გასაუბრებითა და შესყიდვების დოკუმენტაციით დასტურდება სკოლის მიერ სანიტარულ-ჰიგიენური სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო ინვენტარის შეძენა. სკოლას ასევე გაფორმებული აქვს მომსახურების ხელშეკრულება შესაბამის კომპანიასთან პერიოდული დეზინფექციისა და დერატიზაციის ჩატარებასთან დაკავშირებით. აღნიშნული მომსახურების მიღება დასტურდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6.სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის დოკუმენტი. სკოლას ამჟამად არ ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული რეგულაციის შესაბამისად პროცესების წარმართვას. გარდა ამისა, მშობლებსა და მასწავლებლებთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ სკოლა არ იღებს მათგან თანხმობას კონკრეტული პერსონალური მონაცემების, კერძოდ, ფოტო მასალის, ვიდეოგადაღების და სხვა, ინტერნეტსივრცეში განთავსებისათვის. სკოლამ ვერ წარმოადგინა აღნიშნული ნებართვები.

ხარვეზი:

სკოლას არ აქვს მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლებისაგან და თანამშრომლებისგან პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე წერილობითი თანხმობა მიღებული.

რჩევა: სასურველია, სკოლამ უზრუნველყოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის აყვანა.
არგუმენტირებულ პოზიციას სკოლამ დაურთო პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე მოსწავლეთა და თანამშრომელთა წერილობითი თანხმობის ფორმები და აღნიშნული ხარვეზის აღმოფხრის, პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე წერილობით თანხმობის მოპოვების ვადად განსაზღვრა პერიოდი 2025 წლის 20 ოქტომბრიდან 30 ნოემბრამდე.
ქსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული ვადა ჩათვალა რელევანტურად, გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია, ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „მეტწილად დაკმაყოფილებულია“ და გასცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (20.10.2025-30.11.2025წ) უზრუნველყოს პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე წერილობითი თანხმობის მოპოვება მოსწავლეების მშობლების/კანონიერი წარმომადგენლებისა და დასაქმებულებისგან

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

7.სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

სკოლა უზრუნველყოფს ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვას. როგორც გასაუბრებების შედეგად დადგინდა, პირადი მონაცემების დაცვისთვის სკოლას ეხმარება პერსონალისა და მასწავლებელთა მონაცემების დაცვის სისტემები - eFlow, eSchool, ელ. ჟურნალი. სკოლაში დაინსტალირებული ანტივირუსული პროგრამები ლიცენზირებულია. სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს. სკოლის დოკუმენტაცია მატერიალური სახით აბარია საქმისმწარმოებელს, რომლის ფუნქციაშიც შედის სკოლის არქივის წარმოება და დაცვა.

რჩევა: სასურველია, სკოლამ უზრუნველყოს პირადი საქმეების კარადის დაცვა საკეტით.არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა ფოტო მასალა რომლითაც დაადასტურა აღნიშნული რჩევის გათვალისწინების ფაქტი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

8.სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

სკოლა პერიოდულად აფასებს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დანერგილი მექანიზმების ფუნქციონირების ეფექტიანობას. ადმინისტრაციამ ინტერვიუში განმარტა, რომ ამ ეტაპზე სკოლა აღნიშნულისთვის იყენებს დაკვირვების, ინდივიდუალური გასაუბრებისა და ცალკეული შემთხვევების ანალიზის მეთოდს. ასევე, მრჩეველთა საბჭოს მუშაობას, რაც დასტურდება შესაბამისი ოქმებით.

რჩევა: სასურველია, სკოლამ უსაფრთხოების მექანიზმების პერიოდული შეფასებისთვის შეიმუშაოს კონკრეტული მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები (მაგალითად, შეფასების ჩეკლისტი,

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. კითხვარები).სკოლამ გაითვალისიწინა ექსპერტთა რჩევა და არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა კითხვარები, რომელიც იძლევა საშუალებას სასკოლო საზოგადოების მხრიდან შეფასდეს სკოლაში მოქმედი უსაფრთოების მექანიზმები.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მასწავლებლების მორიგეობის განრიგი;
- თანამდებობრივი ინსტრუქციები;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის დოკუმენტი;
- ბრძანება **N2-220. (20 .09. 2025 წელი).**მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ და მრჩეველთა საბჭოს სხდომების ოქმები;
- ბრძანება სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და შესაბამისი მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ;
- ბრძანება N2-217 (18.09.2025წ) საგანგებო სიტუაციების შტაბის შექმნის თაობაზე;
- ბრძანება N2-224 (25.09.2025 წ) საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ;
- ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა N002332324;
- შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში გაგზავნილი წერილი და პასუხი წერილზე;
- მიღება-ჩაბარების აქტები დეზინფექცია, დერატიზაციის მომსახურებასთან დაკაშირებით.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
■ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლა მდებარეობს თბილისში, ლიბანის ქუჩა N22-ში. დაზუსტებული ფართობია: 8594.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერია: 01.11.03.003.031 და 01.11.03 003.068. აღნიშნულ ფართზე დარეგისტრირებულია 4 შენობა ნაგებობა საერთო ფართით: 3586.70 კვ.მ. მესაკუთრეა სახელმწიფო, მოსარგებლე-სსიპ თბილისის N118 საჯარო სკოლა მოსარგებლის არსებობის ვადით. სკოლის შენობა შედგება ორი ფლიგელისგან, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია გადასასვლელი ხიდით. შენობაში განთავსებულია 34 საკლასო ოთახი, ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის კაბინეტები (რომლებიც ასევე გამოიყენება როგორც საკლასო ოთახები), ორი რესურსოთახი, ისტ-ის კაბინეტი 29 კომპიუტერით, სამასწავლებლო, ადმინისტრაციის სამუშაო ოთახები, ბიბლიოთეკა, ექიმის კაბინეტი, სპორტული დარბაზი და ღია სპორტული მოედანი. შენობაში მოწყობილია სველი წერტილები ყველა სართულზე. ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი მერხებითა და სკამებით, მასწავლებლის მაგიდითა და სკამით, დაფით და სხვა აუცილებელი სასწავლო ინვენტარით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის სასწავლო პროცესი ორ ცვლაში ხორციელდება. ამ დროის განმავლობაში მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შეუძლიათ ისარგებლონ ბიბლიოთეკით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიით, სპორტული მოედნით, სხვადასხვა სახის კაბინეტებითა და კომპიუტერული ლაბორატორიით. სკოლას აქვს აღნიშნული სივრცეებით სარგებლობის წესებიც. მოსწავლეთა და თანამშრომელთა გამოკითხვისას დადასტურდა, რომ მათ ნამდვილად აქვთ საჭიროებისამებრ შესაბამისი სივრცეების გამოყენების საშუალება, ისინი ინფორმირებულნი არიან სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეებისა და მატერიალური რესურსის გამოყენების ფორმებისა და პროცედურების შესახებ და შეუძლიათ სკოლის მიერ განსაზღვრული წესებით ინვენტარის გამოყენება. ინტერვიუს დროს მათ მოიყვანეს შესაბამისი მაგალითები კლასგარეშე სასკოლო აქტივობების სკოლის სხვადასხვა სივრცეში დაგეგმვსთან დაკავშირებით, ღია და დახურულ სპორტული მოედნებზე ჩატარებული ღონისძიებების შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომლის მიხედვითაც დარეგულირებულია ბიბლიოთეკაში არსებული მატერიალური რესურსების აღრიცხვა/დამუშავების, სასკოლო საზოგადოების წევრების მიერ საბიბლიოთეკო სერვისისა და მასში განთავსებული ლიტერატურის გამოყენების ხელმისაწვდომობის საკითხები. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი და კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა, რომელშიც განთავსებულია 1276 მხატვრული და 192 მეთოდური ლიტერატურა, სახელმძღვანელოები. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და აღრიცხულია ჟურნალში. მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად იყენებენ ბიბლიოთეკის მომსახურებას. საბიბლიოთეკო სივრცეში არ არის პრინტერი და კომპიუტერი. შესაბამისად სკოლას მიეცა რჩევა.

რჩევა: სასურველია, სკოლამ უზრუნველყოს ბიბლიოთეკის პრინტერითა და კომპიუტერით. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა ფოტო მასალა რომლითაც დაადასტურა რჩევის გათვალისწინების ფაქტი.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლას ჰყავს ეტლით მოსარგებლე მოსწავლე, თუმცა არსებული ინფრასტრუქტურა ვერ უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლებისათვის საჭირო ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობას. შენობაში არ არის მოწყობილი პანდუსი და ლიფტი, ხოლო ადაპტირებული სველი წერტილი განთავსებულია მესამე სართულზე, რაც ქმნის სირთულეებს მოსწავლის გადაადგილებისა და საჭირო მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის კუთხით. სკოლას შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით ლიფტის დამონტაჟების ბოლო ვადად განისაზღვრული ჰქონდა 2024 წლის 1 ივნისი. თუმცა პირობა შესრულებული არ აქვს. სკოლამ წარმოადგინა რიგი ოფიციალური მიმართვები შესაბამის უწყებებში, რომლებიც ადასტურებს მის აქტიურ კომუნიკაციას პრობლემის მოსაგვარებლად. მათ შორის:

- 2025 წლის 24 სექტემბრის წერილი MES 3 25 0001214012, გაგზავნილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გლდანის რაიონის გამგებლისადმი;
- 2024 წლის 2 ივლისის წერილი №MES 8 24 0000787537, გაგზავნილი საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორის სახელზე. აღნიშნულ წერილში სკოლა მიუთითებს, რომ სააგენტოს არაერთხელ მიმართა ანალოგიური თხოვნით და თან ურთავს წინა მიმართვების ჩამონათვალს: 18.04.2024 N441135; 29.03.2024 N 369211; 27.12.2023 N 1769059; 24.10.2023 N 1426564; 28.07.2023 N 940231; 12.07.2023 N 868194; 14.06.2023 N 690051; 14.06.2023 N 686848.

ხარვეზი. სკოლას ჰყავს ეტლით მოსარგებლე მოსწავლე, სკოლის ინფრასტრუქტურა კი არ ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს. სკოლას არ აქვს მოწყობილი პანდუსი ან ლიფტი

შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვვრა პერიოდი 2025 წლის 29 სექტემბრიდან 2026 წლის 29 სექტემბრამდე.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია, რის საფუძველზეც ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „მეტწილად დაკმაყოფილებულია“ და გასცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (24.09.2025-24.09.2026წ) უზრუნველყოს სკოლის შენობის ადაპტირება შშმ პირებისათვის

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია

5.სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის შესაძლებლობას, რომ მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. ამისთვის სკოლას გააჩნია შესაბამისი ფიზიკური გარემო, რომელიც ხელს უწყობს როგორც სასწავლო, ისე საგანმანათლებლო-კულტურული ღონისძიებების გამართვას. კერძოდ, სკოლაში წარმოდგენილია: ფართო ფოიეები, რომლებიც გამოიყენება საერთო და კულტურული აქტივობებისათვის; სპორტული დარბაზი და ღია სპორტული მოედანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა ფიზიკურ განვითარებასა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას; ბიბლიოთეკა, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა კითხვის კულტურის განვითარებასა და ცოდნის გაფართოებას; კომპიუტერული კლასი, რომელიც ქმნის თანამედროვე სასწავლო პროცესისთვის აუცილებელ პრაქტიკულ-საგანმანათლებლო პირობებს. აღნიშნული ინფრასტრუქტურა ქმნის ღია, ხელმისაწვდომ და მრავალფუნქციურ საგანმანათლებლო სივრცეს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერით საჯარო რეესტრიდან;

- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი;
- სკოლის ოფიციალური მიმართვები ლიფტის მოწყობის თაობაზე

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
■ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლა აღჭურვილია კომპიუტერებით (117 მუშა მდგომარეობაში), რომელსაც იყენებენ როგორც ადმინისტრაციული, ასევე სასწავლო პროცესის წარმართვისას. სკოლის ბალანსზეა 18 პროექტორი, რომლებსაც მასწავლებლები იყენებენ გაკვეთილებისა და სხვადასხვა ღონისძიების განხორციელებისთვის. მასწავლებლები მოსწავლეების ჩართულობით ქმნიან ელექტრონულ რესურსებს. სკოლა აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელს, ელექტრონულ ფოსტას, მართვის საინფორმაციო სისტემას, ელექტრონულ ჟურნალს, Teams -ის პლატფორმას. სკოლას აქვს პრინტერები (8 ცალი). შემუშავებული აქვს ციფრული განვითარების გეგმა, რომელშიც გაწერილია როგორ იყენებს სკოლა ტექნოლოგიებს მართვისა და სწავლების პროცესში და როგორ გეგმავს აღნიშნული მიმართულების განვითარებას. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ტექნოლოგიური საშუალებები მათთვის ხელმისაწვდომია როგორც უშუალოდ საგაკვეთილო პროცესში გამოყენების, ასევე, დოკუმენტაციის წარმოებისთვის. მოსწავლეებთან ინტერვიუთიც დადსტურდა, რომ მასწავლებლები ხშირად იყენებენ ტექნოლოგიურ საშუალებებს გაკვეთილებზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლას აქვს 2024-2025 წლების ციფრული განვითარების გეგმა, რომელშიც გაწერილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის განაწილებისა და გამოყენების წესი. სკოლის ადმინისტრაციისათვის გამოყოფილია სათანადო სივრცეები (ოთახები), რომლებშიც განთავსებულია პერსონალური კომპიუტერები, ლეპტოპები და პრინტერები. სკოლას აქვს უსადენო ინტერნეტი, მაგრამ საკლასო ოთახებში ის არ არის ხელმისაწვდომი. ინტერნეტით სარგებლობა შესაძლებელია: ადმინისტრაციისათვის გამოყოფილ ოთახებში, კომპიუტერულ ლაბორატორიასა და კომპიუტერულ კლასში, ბიბლიოთეკასა და სამასწავლებლოში. აღნიშნულ სივრცეებში სკოლის პერსონალს შეუძლია გამოიყენოს კომპიუტერული ტექნიკა სასკოლო საქმიანობის მიზნებისთვის. სკოლის მიერ შემუშავებულ ციფრული განვითარების გეგმაში გაწერილია მოსწავლეებისათვის სამუშაო სივრცის გამოყენების განრიგი.

კომპიუტერული კლასის გამოყენება შეუძლიათ მხოლოდ იმ პერიოდში, როცა არ მიმდინარეობს საგაკვეთილო პროცესი. შაბათს კი შეუძლიათ სივრცის გამოყენება 10:00 სთ-დან 14:00 საათამდე. სკოლის პერსონალი და მოსწავლეები ინფორმირებულნი არიან კომპიუტერული რესურსების გამოყენების წესის შესახებ და ინტერვიუშიც აღნიშნეს, რომ აღნიშნული წესის შესაბამისად იყენებენ მათ.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2024-2025 წლების ციფრული განვითარების გეგმა;
- კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დოკუმენტაცია.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას აქვს კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილი საქმისწარმოების წესი, რომელშიც განსაზღვრულია სკოლის მიერ გამოცემული აქტების, კორესპონდენციის, აღრიცხვის პროცედურები. დაწესებულებას საქმისწარმოების წესით ასევე განსაზღვრული აქვს ანგარიშგებებისა და შემოსულ კორესპოდენციაზე რეაგირების პერიოდები და პროცედურა. ვიზიტის დროს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა სკოლის კანცელარიაში არსებული დოკუმენტაციის მატერიალური და ელექტრონული წარმოება და დადგინდა, რომ სკოლა იცავს საქმისწარმოების წესებს.სკოლა იყენებს ელექტრონულ სისტემებს (Eflow, eschool, Office 365, ელექტრონული ჟურნალი). საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი, რომელიც ელექტრონულ სისტემაში არეგისტრირებს შემოსულ და გასულ წერილებს, აქვე ხდება ბრძანებების, წერილების, მოხსენებითი ბარათების აღრიცხვა. სკოლაში eSchool-ს სისტემის მეშვეობით ხდება ბაზაში მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვისა და დასაქმებული პერსონალის პერსონალური ინფორმაციის ასახვა. მოცემული სისტემა გამოიყენება მასწავლებლებთან, რესურსცენტრთან, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან საკომუნიკაციოდ. დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალები (ანბანური წიგნი, ბრძანებების წიგნი, ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი)

დანომრილია, დირექტორის მიერ ხელმოწერილი, ბეჭედდასმული და აკინძულია. ვიზიტის დროს დადასტურდა სკოლის მიერ თანამშრომელთა და მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოებაც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლა საქმისწარმოებისთვის იყენებს ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემას - Eflow - ს. სკოლას აქვს eSchool-ის ერთიანი ბაზის სისტემაც, რომელშიც შეყვანილია სკოლის ძირითადი ინფორმაცია, სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაციები. მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა ამორიცხვის პროცესი წარიმართება eSchool-ს სისტემის მეშვეობით. საქმისწარმოების პროცესში სკოლა ასევე აქტიურად იყენებს სამსახურებრივ ელ.ფოსტას. სკოლის თითოეულ თანამშრომელს აქვს მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილი საკუთარი ელექტრონული ფოსტა და ინდივიდუალური მომხმარებლის გვერდი eFlow-სა და eSchool-ის ელექტრონულ სისტემაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

სკოლას აქვს eSchool.emis.ge-ს სრულყოფილი საკუთარი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. სკოლის საინფორმაციო ბარათში შეყვანილია ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან

სკოლა დროულად აწვდის ინფორმაციას, ანგარიშებს და უკუკავშირს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს. საკანონმდებლო ვადების დაცვით ამზადებს ანგარიშს ფინანსური და სასწავლო პროცესის შესახებ. ეფექტურად თანამშრომლობს

საგანმანათლებლო რესურსცენტრთან, ყოველწლიურად აქვეყნებს კანონმდებლობით მოთხოვნილ ინფორმაციას საკანონმდებლო მაცნეში და აგზავნის შესაბამის წერილებს საქართველოს პარლამენტთან, პრეზიდენტთან და პრემიერმინისტრთან. ასევე, საქართველოს განათლების სამინისტროში სკოლა ყოველწიურად წარადგენს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის ანგარიშს სკოლის მიერ განხორციელებული ინკლუზიური სწავლების შესახებ. სკოლა საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისად უზრუნველყოფს ფინანსურ ანგარიშგებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი;
- დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალები;
- საქმისმწარმოებლის ხელშეკრულება;
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას ბრძანებით დამტკიცებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობისა წესი, რომელშიც ინფორმირებისა და კომუნიკაციის მთავარ ინსტრუმენტებად განსაზღვრულია ელექტრონული ფოსტა და ფეისბუქის გვერდი. აღნიშნული არხებით სკოლა პერიოდულად ავრცელებს ინფორმაციას სკოლაში მიმდინარე და განხორციელებული აქტივობების შესახებ. მასწავლებლებმა ინტერვიუში დაადასტურეს, რომ თანამშრომლებთან საკომუნიკაციოდ გამოიყენება ელექტრონული ფოსტა და დახურული ჯგუფები სოციალურ ქსელში. დამრიგებლებს შექმნილი აქვთ მსგავსი ჯგუფები მშობლებთან კომუნიკაციისთვისაც. აღნიშნული ჯგუფებით ინფორმაციის გავრცელების ეფექტიანობა დაადასტურეს მშობლებმაც. დამატებით საკომუნიკაციო საშუალებებად სკოლა ასევე იყენებს განცხადებების დაფას სკოლის სივრცეში და სატელეფონო კომუნიკაციას. მშობლებმა აღნიშნეს, რომ სკოლა სარგებლობს

ელექტრონული ჟურნალით, რომლის საშუალებითაც ისინი ეცნობიან ინფორმაციებს მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და გაცდენის შესახებ. სკოლას აქვს ოფიციალური ვებგვერდიც, რომელზეც განთავსებული აქვს სკოლის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია და დაინტერესებულ პირებს აქვთ საშუალება, გაეცნონ სკოლის სხვადასხვა დოკუმენტს. ვებგვერდისა და სოციალური ქსელის წარმოებაზე პასუხისმგებელ პირად სკოლას განსაზღვრული ჰყავს საქმისმწარმოებელი.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლის ოფიციალურ ვებგვერდსა და სოციალურ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სანდო ინფორმაციის გავრცელებას. გავრცელებული ინფორმაციის სანდოობა დასტურდება სკოლაში რეალურად განხორციელებული პროცესებით. სკოლის დირექციამ ინტერვიუში განმარტა, რომ პასუხისმგებლობას იღებს განთავსებული ინფორმაციის სისწორეზე. მშობლებმა და მასწავლებლებმაც დაადასტურეს, რომ საკომუნიკაციო არხებით სკოლიდან მიღებული ინფორმაციის სანდოობა არასდროს დამდაგარა ეჭვქვეშ და არ ყოფილა შეცდომაში შემყვანი.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლის დირექტორმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების მოთხოვნებს, სურვილებსა და ინიციატივებს საქმიანობის პროცესში. პირად თუ სამუშაო შეხვედრებზე სასკოლო საზოგადოების წევრებს აქვთ საშუალება დააფიქსირონ თავიანთი შეხედულებები ამა თუ იმ საკითხზე და მიაწოდონ წინადადებები სკოლის დირექციას. ელექტრონული საკომუნიკაციო არხებითაც ნებისმიერ მათგანს შეუძლია მოსაზრების გაზიარება სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. სკოლა ახორციელებს სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებით შემოსული შეკითხვების, ინიციატივებისა და შენიშვნების ანალიზს და იყენებს მას საკუთარი საქმიანობის გაუმჯობესებისათვის. მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან ინტერვითიც დადასტურდა, რომ დირექცია ღიაა უკუკავშირისადმი, თუმცა ვინაიდან კონკრეტული მაგალითების მოყვანა გაუჭირდათ.

რჩევა: სასურელია სკოლამ საზოგადოებრივი აზრის გაზიარების მიზნით ჩაატაროს სხვადასხვა სახის კვლევა, სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა და შედეგები გამოიყენოს სკოლის განვითარებისთვის. სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რჩევა და არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადინა კითხვარები, რომელიც იძლევა საშუალებას შესწავლილი იქნას სასკოლო საზოგადოების აზრი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს საკუთარი ვებგვერდი, რომელიც არის მოქმედი და სადაც შესაბამის გვერდზე ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლას აქვს ვებგვერდი, სადაც ნაწილობრივ განთავსებულია სავალდებულო ინფორმაცია სკოლის შესახებ, თუმცა აკლია რამდენიმე მათგანი, კერძოდ, არ აქვს ატვირთული ავტორიზაციის მიღების შემდგომი პერიოდის ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში. ამასთან, ვებგვერდზე არ არის განთავსებული ინფორმაცია სკოლის მიერ განხორციელებულ პროგრამებზე ჩაირცხვის პროცედურებთან დაკავშირებით.

ხარვეზი: სკოლას ვებგვერდზე არ აქვს განთავსებული სტანდარტით მოთხოვნილი ყველა სავალდებულო ინფორმაცია.

სკოლამ ვებგვერდზე განათავსა სტანდარტით მოთხოვნილი ყველა სავალდებულო ინფორმაცია. რის საფუძველზეც ინდიკატორის შეფასება არ არის დაკმაყოფილებული შეიცვალა შეფასებით დაკმაყოფილებულია
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საზოგადოებასთან ურთიერთობისა წესი;
- სკოლის ვებგვერდი;
- სკოლის სოციალური ქსელი.

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები
3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლას აქვს კანონმდებლობის დაცვით დამტკიცებული ბუჯეტი. სკოლა უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით. სკოლის დაფინანსების ძირითადი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება. გარდა ამისა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სკოლას ურიცხავს ექიმის თანამდებობრივ სარგოს, სსსმ მოსწავლეებისათვის განკუთვნილ ფულად სახსრებს, მასწავლებელთა დანამატს. სკოლას ეკონომიკური საქმიანობიდანაც აქვს გარკვეული შემოსავალი (იჯარით გაცემული ფართიდან). სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და ბიუჯეტის ანალიზი ადასტურებს, რომ დაწესებულების ფინანსები უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის შესასრულებას. სკოლის ბიუჯეტი იმგვარადაა შედგენილი, რომ შესაძლებელია სკოლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლის დირექტორსა და ბუღალტერათან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლაში ფინანსური დაგეგმვისას ხდება წინა სასწავლო წლის ფინანსური ანალიზი და შემოსავლების პროგნოზირება. საჭიროების შემთხვევაში, ხდება ბიუჯეტის გადახედვა და მასში ცვლილებების შეტანა. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის, დაგეგმვის, განკარგვის და მონიტორინგის სისტემა. კერძოდ, სკოლის შესყიდვები ხორციელდება სკოლის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად. სკოლა ყოველწლიურად ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტს სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. წლის ბოლოს (10 დეკემბრამდე) დგება ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი, რომელშიც აღწერილია წლის განმავლობაში შემოსული და გახარჯული ფინანსური სახსრები. სკოლა რესურსცენტრს კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში წარუდგენს ინფორმაციას 6 თვეში ერთხელ ფინანსურ ბალანსს, ტვირთავს ხელშეკრულებებს SMR-ში, შესყიდვენის გეგმას კი - ePLAN მოდულში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N2-309 (19.11.2024 წ) ბაზრის კვლევვაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ;
- ბრძანება N2-308 (19.11.2024 წელი) სახელმწიფო შესყიდების დამტკიცების შესახებ;

- ბრძანება N2-307 (19.11.2024 წელი) სახელმწიფო შესყიდვვების განხორციელების წესისა და შესყიდების წლიური ფორმის დამტკიცების თაობაზე;
- სკოლის ბიუჯეტი;
- ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

■ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლას დამტკიცებული აქვს შინაგანაწესი, რომელიც ეფუძნება მოსწავლის კანონით განსაზღვრული უფლებების დაცვის პრინციპს და არეგულირებს მოსწავლეთა წახალისების ფორმებსა და გამოყენების წესს, მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესს, დისციპლინური გადაცდომისა და პასუხისმგებლობის სახეებს, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ ნორმებს. მოიცავს ზოგად ინფორმაციას განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესზე და განსაზღვრავს სკოლაში ჩაცმულობის წესს. გარდა ამისა სკოლას შემუშავებული აქვს განცხადებისა და საჩივრის განხილვის პროცედურა (ბრძანება N2-294, 26.10.2023 წ). განსაზღვრულია მოსწავლის კლასიდან კლასში გადაყანის, საშემოდგომო და სემესტრული გამოცდის ორგანიზების პრინციპები, მოსწავლის ვალდებულება

ჩააბაროს ექსტერნის გამოცდა, თუ საბაზო-საშუალო საფეხურზე გააცდენს სასწავლო წლის განმავლობაში კონკრეტული საგნისთვის კონკრეტული სასწავლო წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% - სა და მეტს. სსსმ მოსწავლეთა უფლებების რეალიზება ხორციელდება სსსმ მოსწაველთა მუშაობის მექანიზმის შესაბამისად, რომლის მიზანია შექმნას თანაბარხელმისაწვდომი გარემო ყველა მოსწავლისათვის. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღრავს სსსმ მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების პირველადი მართვის წესს, პირველ კლასში და მობილობით გადმოსულ მოსწავლეთა მართვასთან დაკავშირებულ წესებს, მათ შორის ინდგეგმის შექმნას, ისგ ჯგუფის მუშაობის რეგულაციებს, სსსმ მოსწავლის შეფასების წესს. სკოლაში მოსწავლეთა პირველადი დახმარების აღმოჩენას უზრუნველყოფს 2 ექიმი, სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას და უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაზე ეფექტური რეაგირებას ახდენს მანდატურის სამსახური წარმოდგენილი 3 მანდატურით. მოსწავლეებთან ჩატარებული ინტერვიუირების საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია თანაბარი ხელმისაწვდომობა სასწავლო რესურსებზე. სკოლაში ვიზიტის დროს მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაში ფიქსირდებოდა 37 სსსმ მოსწავლე. მათგან 35 მოსწავლისთვის სკოლას განსაზღვრული ჰქონდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) ჯგუფები და შემუშავებული იყო შესაბამისი ინდივიდუალური გეგმები.

სკოლის დირექციასთან ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ 2 მოსწავლის შესახებ, რომლებიც სსსმ სტატუსის მქონე აღმოჩნდნენ, სკოლას ინფორმაცია არ გააჩნდა. შესაბამისად, ამ მოსწავლეებისთვის არ იყო განსაზღვრული ისგ ჯგუფები და არც შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.

ხარვეზი: სკოლას არ ჰყავდა იდენტიფიცირებული ყველა სსსმ მოსწავლე შესაბამისად ყველა სსსმ მოსწავლისათვის არ მოქმედებდა სკოლაში შემუშავებული სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები (არ იყო ზემოაღნიშნული 2 მოსწავლისათვის განსაზღვრული ისგ ჯგუფი, არ იყო შექმნილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები).

შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში დაწესებულებამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 2025 წლის 6 ნოემბრიდან 30 ნოემბრამდე პერიოდი, რომელიც ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა რელევანტურად. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა ისგ ჯგუფის შექმნისა და საქმიანობის დამადასტურებელი ბრძანებები, ასევე ისგ ჯგუფის მიერ შედგენილი ოქმები აღნიშნულ ორ მოსწავლესთან დაკავშირებით და იმ პასუხისმგებელი პირის მიმართ გამოცემული დისციპლინური პასუხისმგებლობის ბრძანება, რომელსაც ევალება სკოლაში მოსწავლეთა ბაზებთან მუშაობა.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორი შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „მეტწილად დაკმაყოფილებულია“ და გასცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (06.11.2025-30.11.2025 წ) უზრუნველყოს ახლად იდენტიფიცირებული სსსმ მოსწავლეებისათვის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებული

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან.**

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები (შინაგანაწესი, სასკოლო სასწალო გეგმა, განცხადებისა და საჩივრის განხილვის პროცედურა) საჯაროდ არის ხელმისაწვდომი. ის განთასებულია სკოლის ვებგვერდზე, რაც უზრუნველყოფს შეუზღუდავ წვდომას აღნიშნულ დოკუმენტებზე. გარდა ამისა სადამრიგებლო გეგმებით გათვალისწინებულია მოსწავლეებისათვის მათი უფლებების სასკოლო რეგულაციების გაცნობა. მოსწავლეებთან ინტერვიუთი დადასტურდა, რომ ისინი იცნობენ კანონით გათვალისწინეულ საკუთარ უფლებებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

ვიზიტის დროს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა და დადგინდა, რომ სკოლას გაფორმებული აქვს მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან კანონმდებლობის შესაბამისი მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საფეხურის კურიკულუმები;
- შინაგანაწესი;
- განცხადებისა და საჩივრის განხილვის პროცედურა;
- მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულები;

- სსსმ მოსწავლეთა მუშაობის მექანიზმი.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

ხარვეზი. სკოლამ ვიზიტის პერიოდში ვერ წარმოადგინა მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები.

არგუმენტირებულ პოზიციას სკოლამ დაურთო 2025 წლის 5 ნოემბრის №2-257 ბრძანებით დამტკიცებული მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, კლასიდან კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების და/ან შეწყვეტის, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის წესი.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „დაკმაყოფილებულია“

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

ვიზიტის დროს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურების დაცვა. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეები, პირობები, პროგრამები და მათი სპეციფიკა, სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია გაწერილია საფეხურის კურიკულუმებში და სკოლის შინაგანაწესში. აღნიშნული დოკუმენტები განთასებულია სკოლს ვებგვერდზე, შესაბამისად ის საჯაროდაა ხელმისაწვდომი. გარდა აღნიშნულისა დამრიგებლების მიერ ხდება მშობლებისა და მოსწავლეებისათვის ინფორმაციის მიწოდება როგორც სკოლის მარეგულირებელ ნორმებზე ასევე წლის განმავლობაში გამოცხადებული ან/და სკოლის მიერ ორგანიზებული კონკურსების, ოლიმპიადების და სხვადასხვა ღონისძიებების შესახებ. ინფორმაციაზე ხელმისაწდომობა დაადასტურეს ინტერვიუს დროს მოსწავლეებმა და მშობლებმა/კანონიერმა წარმომადგენლებმა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლა ინფორმაციის გავრცელებისა და საზოგადოებასთან კომუნიკაციისათვის აქტიურად იყენებს როგორც ოფიციალურ ვებგვერდს, ასევე სოციალური ქსელის ოფიციალურ გვერდს. აღნიშნული არხებით რეგულარულად ქვეყნდება ინფორმაცია სასწავლო პროცესის, სკოლის ინიციატივების, პროექტებისა და საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ. საინფორმაციო რესურსების შესწავლისა და მონიტორინგის შედეგად დადასტურდა, რომ ვებგვერდზე და სოციალურ ქსელში განთავსებული მასალები შეიცავენ სანდო, დროულად განახლებულ და ობიექტურ ინფორმაციას. სკოლის მიერ ბრძანებით განსაზღვრულია ინფორმაციის გავრცელებაზე პასუხისმგებელი პირები, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის მართვის გამჭვირვალე, ორგანიზებულ და სამართლებრივად დასაბუთებულ პროცესს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სადამრიგებლო გეგმები;
- ბრძანებები ინფორმაციის გავრცელებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ;
- ვებგვერდი და სოციალური ქსელი;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

შეფასების შედეგად დადგინდა, რომ სკოლას გააჩნია მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მხარდაჭერას. დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგენილია, რომ სკოლას შემუშავებული აქვს „მოსწავლეთა ადაპტაციის წესი“ (ბრძანება №2-223, 23.09.2025 წელი). აღნიშნული დოკუმენტი მიზნად ისახავს მოსწავლეთა წარმატებულ ჩართვას სასკოლო ცხოვრებაში და ხელს უწყობს როგორც პირველკლასელთა, ასევე მობილობით გადმოსული მოსწავლეების ადაპტაციის პროცესს. დოკუმენტში განსაზღვრულია: მოსწავლის დეზადაპტაციის ნიშნები, რაც სკოლას საშუალებას აძლევს დროულად მოახდინოს სირთულეების იდენტიფიცირება; დამრიგებლის ვალდებულებები ადაპტაციის პროცესში; მშობელთა მხარდამჭერი რეკომენდაციები; პირველკლასელთა ადაპტაციის დეტალური პროცესი; სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმები; საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ადაპტაციის ფორმები და გზები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

მოსწავლეებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა, რომ სკოლაში ფუნქციონირებს მეგობრული და მხარდამჭერი გარემო. მოსწავლეები, დამრიგებლები და სკოლის ადმინისტრაცია აქტიურად უწყობენ ხელს მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართვასა და ადაპტაციის პროცესის გამარტივებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლას მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად განსაზღვრული აქვს მოსწავლეთა კონსულტირების და მხარდაჭერის აქტივობები. კერძოდ, საფეხურის კურიკულუმებით დადგენილია რემედიაციის პროგრამის განხორციელების წესი და პირობები, ასევე რეიტინგული წერები და წერის შედეგებზე რეაგირების მექანიზმი. კერძოდ, თუ რეიტინგული წერის დასრულების შემდეგ, გამოიკვეთა, რომ მოსწავლეს სჭირდება დამატებითი მუშაობა, სკოლა ორგანიზებას უკეთებს დამატებით მეცადინეობებს 3 თვის განმავლობაში. აღნიშნული მეცადინეობების დასრულების შემდეგ, მოსწავლე ახალ რეიტინგულ წერას წერს. გარდა აღნიშნულისა, რაც დოკუმენტურად დადასტურებულია, მოსწავლეებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლები აქტიურად ეხმარებიან მოსწავლეებს აკადემიური სირთულეების დაძლევაში ინდივიდუალური კონსულტირების გზით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

მოსწავლეებთან ინტერვიუთი დადასტურდა, რომ ისინი იცნობენ საკუთარ უფლებებს. სკოლაში ვიზიტის დროს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა სკოლის მიერ კონკრეტული საგნისათვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტის გაცდენის გამო ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდის ორგანიზება ასევე წინმსწრები ექსტერნის გამოცდის და საშემოდგომო გამოცდის მასალები. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი ბრძანებები, მოსწავლეთა რეგისტრაციის ფორმები, გამოცდის ჩატარების მასალები, კლასის დაძლევის ბრძნებები. რაც შეეხება უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარებას, შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოვლინდა, რომ სკოლას მშობელმა მიმართა განცხადებით, სკოლამ მოამზადა დასკნა და გაგზავნილი იქნა დასკვვნა ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში თუმცა ვინ განახორციელა დაინტერესებული პირის/მშობლის მიერ წარდგენილ დოკუმენტაციაში მითითებული საგნების შესაბამსობა ეროვნული სასწავლო გეგმით

გათვალისწინებულ სავალდებულო საგნებთან არ იქნა წარმოდგენილი ისევე როგორც ვერ მოხდა იმისი იდენტიფიცირება, თუ რის საფუძველზე მოხდა შესაბამისობის დასკვნის მომზადება. სკოლას მიეცა **რჩევა სასურელია უცხოეთში მიღებული განათლების აღარების პროცესის წარმოების დროს ბრძანებით განსაზღვროს ჯგუფი, რომელიც შეისწავლის მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და დაადგენს მოსწავლის მიერ უცხოეთში მიღებული განათლების შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სავალდებულო საგნებთან.**

სკოლაში მოსწავლეთა მობილობის პროცედურების გადამოწმებამ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში დაადასტურა კანონმდებლობის შესაბამისი ქმედებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

მოსწავლეებთან ჩატარებული ინტერვიუები ადასტურებს, რომ სკოლა უზრუნველყოფს დამატებითი და არაფორმალური განათლების ხელშეწყობას, კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვით და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის ჩართულობით. მოსწავლეთა თქმით, სკოლა რეაგირებს მათ მიერ ინიცირებულ მოთხოვნებზე და ხელს უწყობს ინტერესზე დაფუძნებული წრეებისა და აქტივობების განხორციელებას. კერძოდ, გასულ სასწავლო წელს ფუნქციონირებდა წრეები, რომლებიც მოსწავლეთა ინიციატივის საფუძველზე შეიქმნა, რაც მიუთითებს სკოლაში არსებულ მოქნილ და მოსწავლეზე ორიენტირებულ გარემოზე. მიმდინარე სასწავლო წელს დირექტორის განმარტებით (ვიზიტის პერიოდში) არცერთი წრე არ ფუნქციონირებდა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლას განსაზღვრული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი, რომლის მიხედვითაც სკოლა „ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეებისაგან მიღებული უკუკავშირის ანალიზისა და რეაგირების ფორმებს“, აღნიშნული წესის მე-8 მუხლით განსაზღვრულია რომ „საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებული უკუკაშირის შედეგები გამოიყენება საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად“. სკოლას აღნიშნული წესი დამტკიცებული აქვს მიმდინარე წლის 23 სექტემბერს. ვიზიტის პერიოდში სკოლამ აღნიშნული წესის მიხედვით განხორციელებული უკუკავშირის შედეგად რეაგირების დამადასტურებელი ფაქტი ვერ წარმოადგნა, თუმცა გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ წესი ახალი შემუშავებული ჰქონდა სკოლას. მოსწავლეებთან ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ მათ შეუძლიათ თავიანთი ინიციატივებითა და წინადადებებით მიმართონ სკოლის ადმინისტრაციას მოსწავლეთა თვითმმართველობის მეშვეობით, რის შედეგადაც ადმინისტრაცია განიხილავს მოსწავლეთა

უკუკავშირს. მშობლებთან ინტერვიუს საფუძველზე დადასტურდა, რომ ისინი აქტიურად არიან ჩართულნი კომუნიკაციის პროცესში დამრიგებელთან და სკოლის დირექციასთან, რაც მიმართულია მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისაკენ.

სკოლას მიეცა რჩევა. სასურველია საკუთარი რეგულაცია „საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი“ აქტიურად გამოიყენოს პრაქტიკაში და უზრუნველყოს მიღებული უკუკავშირის სისტემატური ანალიზი და რეაგირება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანებაN2-222 (23.09.2025 წ) სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის წესის დამტკიცების შესახებ;
- სკოლის დოკუმენტაცია საშემოდგომო გამოცდების, ექსტერნის გამოცდებისა და უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების შესახებ;
- მართვის საინფორმაციო სისტემა.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლაში უზრუნველყოფილია მოსწავლეთათვის კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხელმისაწვდომობა, რაც ხელს უწყობს მათ ინფორმირებულობას, თვითშეფასებასა და მომავალი პროფესიული გზის განსაზღვრას. საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმების შესწავლისა და მოსწავლეებთან ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე დადასტურდა, რომ სკოლაში კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავებული საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში გათვალისწინებულია არაფორმალური განათლების კომპონენტი, რომლის ფარგლებშიც სკოლა 2025–2026 სასწავლო წელს ადმინისტრაციისა და დამრიგებლების ორგანიზებით გეგმავს IX და XI კლასების მოსწავლეთათვის გასვლით ექსკურსიებს სხვადასხვა საწარმოებში პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მიზნით. გარდა ამისა, სკოლა უზრუნველყოფს

პროფესიაში წარმატებული ადამიანების მოწვევას IX–XI კლასების მოსწავლეთათვის, რაც მათ აძლევს შესაძლებლობას უკეთ გაეცნონ სხვადასხვა პროფესიის სპეციფიკას. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა უნივერსიტეტებთან და პროფესიულ კოლეჯებთან. აღნიშნული თანამშრომლობა მოიცავს მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობას, საუნივერსიტეტო და პროფესიული პროგრამების გაცნობას, ღია კარის დღეების ორგანიზებას, ასევე ერთობლივი შემეცნებითი აქტივობებისა და ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას. მოსწავლეებთან გამართულმა ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ უნივერსიტეტებისა და კოლეჯების წარმომადგენლები ნამდვილად იმყოფებოდნენ სკოლაში და მოსწავლეებს გააცნეს საკუთარი პროგრამები. მოსწავლეები აღნიშნულ ღონისძიებებს მიიჩნევენ სასარგებლოდ საკუთარი პროფესიული არჩევანის განსაზღვრის პროცესში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

დოკუმენტაციის შესწავლის და ინტერვიუების შედეგად დადასტურდა, რომ სკოლას გააჩნია მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებისა და მათი კანონიერ წარმომადგენლებისთვის განახლებული და სანდო ინფორმაციის მიწოდებას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პრაქტიკა ოფიციალური დოკუმენტით სრულად არ დასტურდება, მოსწავლეებთან და დამრიგებლებთან გამართული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლა რეალურად ახორციელებს საინფორმაციო ხასიათის მუშაობას ამ მიმართულებით. დამრიგებლები სისტემატურად აწვდიან მოსწავლეებს ინფორმაციას უნივერსიტეტებისა და პროფესიული კოლეჯების პროგრამებზე, კარიერული განვითარების გზებზე და შემდგომი განათლების შესაძლებლობებზე.

სკოლას მიეცა რჩევა. სასურველია მოახდინოს არსებული პრაქტიკის ფორმალიზება და მოსწავლეთა კარიერულ განვითარებასთან დაკავშრებული საკითხების მართვა გაწეროს კონკრეტულ მექანიზმებად

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.**სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

დოკუმენტაციის შესწავლისა და დირექციასთან და მოსწავლეებთან გამართული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლაში მოსწავლეთა კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის **მიმართულებით** მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში არ გამოიყენება კონკრეტული მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგების მიზნობრივ გამოყენებას. ფიქსირდება მხოლოდ ცალკეული შემთხვევები, როდესაც მოსწავლეთა ინიციატივის საფუძველზე მოწვეული იქნა უნივერსიტეტების წარმომადგენლები. აღნიშნული პრაქტიკა ეპიზოდურ ხასიათს ატარებს და ვერ მიიჩნევა სისტემურ მიდგომად, რომელიც უზრუნველყოფდა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების პროცესის გეგმიურობასა და შედეგებზე ორიენტირებას.

ხარვეზი. სკოლაში არ არსებობს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესის უზრუნველსაყოფად შემუშავებული კონკრეტული მექანიზმი. სკოლაში არსებული პრაქტიკა ეპიზოდურ ხასიათს ატარებს და ვერ უზრუნველყოფს შეფასების შედეგების მიზნობრივ გამოყენებასა და პროცესის გეგმიურ, სისტემურ განხორციელებას.

შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის ფარგლებში სკოლამ წარმოადგინა შემუშავებული კითხვარები მოსწავლეებისთვის და მშობლებისათვის, სადაც ბოლო კითხვა შესაძლებლობას აძლევს მათ დაფიქსირონ ნებისმიერი მოსაზრება, რაც ხელს უწყობს მომსახურების ხარისხის მართვის პროცესის სრულყოფასა და მიზნობრივ გამოყენებას.აღნიშნული კითხვარებით გამოკითხვის პროცედურისთვის სკოლას განსაზღვრული აქვს პერიოდი 2025 წლის 20 ოქტომბრიდან 2026 წლის 30 თებერვლამდე.
ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „მეტწილად დაკმაყოფილებულია“ და გასცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში სკოლამ უზრუნველყოს გამოკითხვა, კითხვარების ანალიზი და შედეგები გამოიყენოს დაგეგმვის პროცესში

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის კურიკულუმი;
- საშუალო საფეხურის კურიკულუმი;
- მემორანდუმი გაფორმებული კოლეჯთან.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

შესაბამისი მხარდაჭერა.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლის წარმომადგენლებთან გამართული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლას შემუშავებული აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმი (ბრძანება №2-221, 23.09.2025 წ.), რომელიც მიზნად ისახავს თანაბრად ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო გარემოს შექმნას. აღნიშნული მექანიზმი ორიენტირებულია უზრუნველყოს ისეთი გარემოს ფორმირება, სადაც სსსმ მოსწავლეებს შესაძლებლობა ექნებათ მიიღონ განათლება ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტი სრულად ასახავს სსსმ მოსწავლეთა მხარდაჭერის ძირითად პრინციპებს, მისი პრაქტიკული განხორციელება სრულად არ არის უზრუნველყოფილი. კერძოდ, მართვის საინფორმაციო სისტემაში დაფიქსირებული ორი სსსმ მოსწავლის შესახებ სკოლას არ ჰქონდა შესაბამისი ინფორმცია, რის შედეგადაც აღნიშნულ მოსწავლეებს ვერ გაეწიათ მათ საჭიროებებზე მორგებული საგანმანათლებლო მომსახურება.

ხარვეზი. სსსმ მოსწვლესთან მუშაობის მექანიზმის პრაქტიკული გამოყენება სრულად არ არის უზრუნველყოფილი. მართვის საინფორმაციო სისტემაში დაფიქსირებული ორი სსსმ მოსწავლის შესახებ სკოლას არ გააჩნდა ინფორმაცია, რის გამოც მათ ვერ გაეწიათ

შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში დაწესებულებამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 2025 წლის 6 ნოემბრიდან 30 ნოემბრამდე პერიოდი, რომელიც ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა რელევანტურად. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა ისგ ჯგუფის შექმნისა და საქმიანობის დამადასტურებელი ბრძანებები, ასევე ისგ ჯგუფის მიერ შედგენილი ოქმები აღნიშნულ ორ მოსწავლესთან დაკავშირებით

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია აღნიშნული ფაქტის 2025 წლის 30 ნოემბრამდე აღმოფხვრის შესახებ ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფლებული“ შეცალა შეფასებით „მეტწილად დაკმაყოფილებულია“ და გასცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (06.11.2025-

30.11.2025 წ) სრულად უზრუნველყოს სსსმ მოსწვლესთან მუშაობის მექანიზმის პრაქტიკული გამოყენების უზრუნელყოფა ყელა მოსწავლესთან მიმართებით.

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლის დოკუმენტაციის (სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი, ისგ ჯგუფის შექმნის ბრძანებები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, ისგ ჯგუფის ოქმები, ინკლუზიური განათლებაზე შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა) შესწავლით დადგინდა, რომ სკოლაში სსსმ მოსწავლის წინსვლა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩათულობასა და თანამშრომლობის პრინციპებს. სკოლაში ვიზიტის დროს საშუალება მოგვეცა გავსაუბრებოდით შშმ პირის მშობლებს (დედას და მამას) რომლებმაც დაადასტურეს სკოლასთან აქტიურად თანამშრომლობის პრინციპები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები;
- ისგ ჯგუფის ბრძანებები;
- ინდივიდუალურ სასწავლო გეგმები;
- ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს გახანგრძლივებული სწავლებისა და კვების სერვისს. კვების მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით სკოლას კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით იჯარით აქვს გაცემული შესაბამისი ფართი, ხოლო მეიჯარე რეგისტრირებულია ინდივიდუალურ მეწარმედ. სკოლამ წარმოადგინა სკოლის ექიმის მიერ ბუფეტის შემოწმების გასული წლის მხოლოდ ერთი შემოწმების აქტი. დირექტორის განმარტებით, კვების ობიექტის მონიტორინგს ახორციელებენ შესაბამისი სახელმწიფო მარეგულირებელი უწყებები. მისივე თქმით, სურსათის ეროვნულ სააგენტოს უკვე ჰქონდა განხორციელებული კონტროლი კვების ობიექტზე და შედგენილი შესაბამისი აქტი, რომელშიც დაფიქსირდა გარკვეული ხარვეზები. აღნიშნული აქტი ექსპერტებისთვის არ იყო წარმოდგენილი და ვერც დირექტორმა დააზუსტა აქტში მოყვანილი ფაქტობრიი გარემოებები ხარვეზებთან დაკავშირებით.

ხარვეზი. სკოლის ექიმი არ ახდენს კვების ობიექტის სისტემურ შეფასებას, სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ შედგენილ აქტში დაფიქსირებული ხარვეზები კი კვების ობიექტის ფუნქციონირებაში დამატებით რისკებს ქმნის.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა 2025 წლის 21 ოქტომბრით დათარიღებული სკოლის ექიმის მიერ სასკოლო კვების ობიექტის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების აქტი, ასევე კვების ობიექტის საქმიანობის მონიტორინგის მიზნით მონიტორინგის ჯგუფის შექმნის ბრძანება №2-242 (2025 წლის 20 ოქტომბერი). ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია აღნიშნული ფაქტის 2025 წლის 7 ნოემბრიდან 30 ნოემბრამდე აღმოფხვრის შესახებ, ინდიკატორის შეფასება არ არის დაკმაყოფილებული შეცვალა შეფასებით მეტწილად დაკმაყოფილებულია და გასცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (07.11.2025-30.11.2025წ) უზრუნველყოს კვების ობიექტის სისტემური შეფასების მექანიზმების ამოქმედება და კვების ობიექტის მუდმიივი მონიტორინგი.

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებული.

2.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას

დოკუმენტაციის შესწავლისა (საფეხურების კურიკულუმები) და სკოლის დირექციასა და მოსწავლეებთან გამართული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლა დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას უზრუნველყოფს ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით, რაც ემსახურება მოსწავლეთა ინტერესებისა და განვითარების ხელშეწყობას. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, დაწყებითი საფეხურის (I–IV კლასების) მოსწავლეებს სკოლა სთავაზობს გახანგრძლივებული სწავლების პროგრამას, ხოლო საბაზო საფეხურზე - სპორტულ და ნორჩ ხელოვანთა კლუბებს. სკოლის დირექციის განმარტებით, ვიზიტის პერიოდში დამატებით მომსახურებებზე მოსწავლეები რეგისტრირებული არ იყვნენ. თუმცა, მოსწავლეებთან ჩატარებული ინტერვიუირების შედეგად დადგინდა, რომ გასულ სასწავლო წელს აღნიშნული კლუბები რეალურად ფუნქციონირებდა და მათში გაწევვრიანება ხდებოდა ნებაყოფლობითობის პრინციპით. მოსწავლეთა მონათხრობიდან გამოიკვეთა, რომ აღნიშნული აქტივობები ხელს უწყობდა მათი ინტერესებისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლაში ვიზიტის დროს დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებების განხორციელებაზე მოთხოვნა (მიმდინარე სასწავლო წლის შემთხვევაში), მოსწავლეთა და მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მხრიდან არ ფიქსირდებოდა, თუმცა ასეთი მომსახურების არსებობის შემთხვევაში სკოლას გათვალისწინებული აქვს უსაფრთხოების ზოგადი წესები, რომელიც მოქმედებს სკოლაში. სკოლის ტერიტორიაზე ქცევის წესებს არეგულირებს შინაგანაწესი და 3 მანდატური.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მართვის საინფორმაციო სისტემა;

- იჯარის ხელშეკრულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

თარიღი 17.10.2025 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: